

მწყმისი



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისმან კეთილმან სული ოვის დაჰსდვის ცხოვართვის. (იოან. 10—11).
 ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწემედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცდღვლისა. (ლუკ. 15—4).
 მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მამიწენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 19—20

1883—1894

1—30 ოქტომბერს.

შინაარსი: მთელი დასავლეთის საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში.—ახალი ამბები და უნივერსიტეტი.—სიტყვა, ოქმული ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის პერ-მონაზონის მ. დიმიტრის მიერ 18 სექტემბერს, ქუთაისში სემინარიის დაარსების გამო.—ვინ წაიღო ვვართი უფლისა და ღვთისმშობლის ხატი მცხეთის საკრებულო ტაძრიდან და ან ვინ მიიტანა ისინი რუსეთში.—ქადაგება მდაბო ხალხთა მიმართ, ოქმული 1795 წ. აპბროსი ნეკრესელის მიერ.—იოსებ შუგენიერი.—საქვე კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—შეწირულებანი.—განცხადებანი.

მთელი დასავლეთის საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში. *)

სამეგრელოს სამღვდლოების დეპუტატებმა განაცხადეს: სამეგრელოს ოთხ კლასიანი სასწავლებლის შენობას ორჯერ წაეკადა ტყვლი და შესაშედ 1876 წელში სასწავლებლის შენობა და ვოკელოვე მისი ქონება დაიწვა. ამ დღიდან სამეგრელოს სამღვდლოება ტდი-ობს ხსენებული სასწავლებლისათვის შესაფერა შენობის

*) იხ. «მწყმისი» № 18, 1894 წ.

აკებას, რომლის გეგმა უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად უწმიდეს სინოდში და რომელი გეგმითაც შენობისათვის ათხროება 120,000 მანეთი, მაგრამ არა თუ ეს 120,000 მანეთი, მისა დასხეკარც კერ შეუკრება სამღვდლოებასათვისა უეიდურქია სიღარბისა გამო; 1876 წლიდან სამეგრელოს სამღვდლოება სასწავლებლისათვის ქიარობს სახლს მაუხედეკლად თავისი სიღარბისა ხსენებული სამღვდლოება მზად არის შემწეობა აღმოუჩინოს ქუთაისის სემინარიას, რომელიც მეტად საჭარო და სასარგებლოა დასავლეთის საქართველოს სამღვდლოებასათვის. ერთ დროებათად ვაწარმოვთ სემინარიის საჭიროებასათვის სამ—სამ მანეთს თითოეული კრებულისა და ამასთანავე განცხადებთ, რომ ამ შეწირულებას ჩვენ მოუმატებთ, რაც უწმიდესი

სინოდისაგან დაგვიწინებდა სამღვდელთა ის ჯამაგიერი, რომელიც უკვე შესდგა და უწმ. სინოდშია წარდგენილი. ამასთანავე სამეგრელოს სამღვდელთა შესამჯობლად სედავს ერთ ღრუბითად შესწირეს ქუთაისის სემინარიას ნაწილი იმ ფულუბისა, რომელიც წარსულს 1893 წელში დანიშნული იყო სამეგრელოს საეკლესიო ხაზინისაგან თბილისის სემინარიის შესანახავად და რომელიც გადაწმინდა, გინადგან ეს სემინარია 1893 წლის დეკემბრის 4 დაკეტილია. ქუთაისის სემინარიის სამუდამო შესანახავ წყაროდ სამეგრელოს სამღვდელთა სწირავს ეპარქიალურ სანთლის ქაზნის წმიდა შემოსავალს და იმ ფულუბს, რომელიც უოკელ წლებით იგზავნება სამეგრელოს საეკლესიო ხაზინიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში და იმ ფულუბს, რომელიც უოკელ წლებით იგზავნება ამავე სემინარიის შესანახავად თითოეული ეკლესიის შემოსავლიდან ორ მანეთადე.

გურიის სამღვდელთა დეპუტატებმა განაცხადეს:

გურიის სამღვდელთა თავისი უიდურესი სიღარბისა გამო შეუძლია მხრად შესწირეს ქუთაისის სემინარიის შესანახავად ერთ ღრუბითად თითოეული კრებულის თავზე 2 მ. 50 კ. და ამ შესწირულებას იგი მოუმატებს, როცა სამღვდელთა დაენიშნება აღთქმული ჯამაგიერი; ამასთანავე გურიის სამღვდელთა შესამჯობლად მიანიხ ქუთაისის სემინარიის შესანახავად დანიშნოს კიდევ 2 მ. 50 კ. თითოეული შტატის ეკლესიის შემოსავლიდან; ქუთაისის სემინარიის სამუდამო შესანახავ წყაროდ გურიის სამღვდელთა ნიშნავს წმიდა სანთლის მოგებას და იმ ორ-ორ მანეთს, რომელიც თითოეული შტატის ეკლესიის მოგებიდან იგზავნება თბილისის სემინარიის შესანახავად. მეტი შემწეობის აღმოჩენა ქუთაისის სასულიერო სემინარიისთვის გურიის სამღვდელთაგან არ შეუძლია შემდეგ მიზნითა გამო: 1) ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელთა, სადაც მხრად 100 შტატია, ცდილობს უოკელ წლებით 5000 მანეთი შეკრბოს, რომ ამ ფულუბისაგან ისეთი თანხა შეადგინოს, რომელიც შეიძლებადეს ოთხ-კლასიანი სასწავლებლის, შენობის აგება, მეორედ გურიის ღარბ სამღვდელთა თავისი ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შესანახავად უოკელ წლებით შეაქვს 15,000 მანეთი თავისი საკუთრებიდან.

საუურადღებო იყო განცხადება ლენხუმის სამღვდელთა ერთი დეპუტატის მღვდლის ალექსანდრე გერსამიასი. მან განაცხადა:

ის უაზრობა და უსამართლობა, რაც ლენხუმის სამღვდელთაგან ემართება, არ გეჭვარა, რომ ვისმეს დაემართოს. როდესაც ჩვენი ლენხუმის მაცნა იმერეთის ეპარქიას ეკუთვნოდა, ჩვენს სამღვდელთაგან გადვილებული ჰქონდა შვილების აღზრდა. დღეს კი ამ მხრით უგადურეს მდგომარეობაში ვართ ჩადგინული. ლენხუმის სამღვდელთა მიგვაწერეს სამეგრელოს ეპარქიას, ამასთვის უოკელივე გარდასახად გვანდგინებენ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შესანახავად. წამოვიდგიეო, რომ ლენხუმის სამღვდელთაგან მარტო ერთი ბავშვი ჰყავს ამ სასწავლებელში და დანარჩენი სწავლობენ ძველებურად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შესანახავად გიხდით ფულუბს და ამავე ღრს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში თითო ბავშვზე შეგაქვს 40 მანეთი. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი შვილები სენაკის ჰყავს გერ იტანენ და მასთან სენაკში არც ისე საადვილო არის ბავშვის შენახვა, როგორც ქუთაისში. ჩვენ ვთხოვენ სამეგრელოს სასწავლებლის სახლის ასაშენებლად ფულუბს, მაგრამ ვისთვის უნდა ავაშენოთ სახლი, როდესაც ლენხუმის სამღვდელთაგან ერთი ბავშვი არ სწავლობს ამ სასწავლებელში? უკელა ამას დაუმატეთ ჩვენი სამღვდელთაგან განსაკუთრებით ღარბი მდგომარეობა და თქვენ ვარკად მიხვდებით, თუ რა გავჭირებას ითმენს ლენხუმის სამღვდელთა. ფულუბს ახდევინებენ სასწავლებლისათვის და შვილების იმ სასწავლებელში შეუვანა კი შეუძლებელია!.

უკელა ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების ოლქის სამღვდელთაგან მოსახრებისა და განცხადების თანხმად შესდგა უურნალი და კრება მეორე დღის დღის ცხრა საათისათვის ვადიდვა.

მეორე დღეს, კრების განსწიხათანავე, თავმჯდომარემ წაიკითხა წინადადება სემინარიის ინსპექტორის მამა დიმიტრისა, რომელიც ითხოვდა, რომ კრებას აღმოეჩინა სე-

მინარის სამმართველოსათვის წევრები სამღვდლოების მხრით წევრების აღრჩევამც გამოიწვია ცოტა უთანხმოება კრებაში, რადგან სამეგრელოს სამღვდლოება ცალკე თხოვილობდა ერთი წევრის აღრჩევას, მაგრამ ეს მოუსწერსებული შეიქმნა. ინსპექტორი თხოვილობდა, რომ წევრებად აღერჩიათ ქალაქშივე მცხოვრები მღვდელნი და სემინარიის წესდებაც ამას თხოვილობს. დასახელებს ოთხი პირი წევრის კანდიდატებათ, რომელთაც კენჭი უნდა ჩამოტარებოდეთ, კანდიდატებათ დასახელებს დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი, დეკანოზი ი. ჭეიშვილი, ბლადოჩინები ნ. უუბანიშვილი და ე. კანდელაკი. სამეგრელოს სამღვდლოების ნამეტანმა ნაწილმა განაცხადა, რომ დეკ. გ. ცაგარეიშვილი ერთი ხმით ეოფილიყო აღრჩეული და სხვებსე კი კენჭის უნა მომხდარიყო. ამასე თავმჯდომარემ მოახსენა დეპუტატებს:

შამან დეპუტატნი! კანონი თხოვილობს, რომ როდესაც ვისმეს კენჭით ირჩევენ რომელიმე თანამდებობაზე, უთუოდ პირველად ამ პირს უნდა დაეკითხონ, სურს, მასკენჭის უნა თუ არა. რადგან დეკ. ცაგარეიშვილი აქ არ იმყოფება, მასზედ კენჭის უნა არ შეიძლება, თუ თვითონ არ დათანხმდა. ასევე უნდა მოექცეთ სხვა პირებს შესახებაც, რომელნიც აქ არ არიან.

დაასრულა თუ არა თავმჯდომარემ სიტყვა, ერთბაშად ისეთი ხმაურობა შექნა სამეგრელოს სამღვდლოებამ და ისეთი დაჯინებით თხოვილობდა ცაგარეიშვილის დაუსწრებლად კენჭის ურას, რომ კრებაზე გაკონება აღარ იყო. როგორც იქნა ჩამოვარდა სიჩუმე. თავმჯდომარემ მიძართა კიდევ დეპუტატებს: ბატონებო! ასეუბრალოდ დროს რად გვარკავთ. მე მოგახსენებთ, რომ არ არას რიგი და კანონი კენჭი უნარით ვისმეს რომელიმე თანამდებობაზე, თუ კენჭის

საურელი პარი ამაზე თანხმობას არ განცხადებს. კარგი, დაკეთანხმებით თქვენ. ესთქვათ, ავირჩიეთ კაცი, შევადგინეთ უურნალო და წავედით. მოხდა, რომ არჩეულმა პირმა არ ისურვა ის თანამდებობა, რომელზედაც ავირჩიეთ. მაშინ როგორ იქნება საქმე? ხელახლად უნდა დავკვირდეთ? ამასთან პირველი თქვენი თხოვნა ამდენ კანდიდატებში ერთის შენჯით არჩევა არ ეთანხმება კანონს. თუ სამზედ კენჭის უნა იქნა, შეათხედვად კენჭი უნდა იქნეს ჩამოტარებული. დაასრულა თუ არა ეს სიტყვები თავმჯდომარემ, შეიქნა კიდევ ერთი ხმაურობა. ისმოდა მარტო: კენჭი, კენჭი, კენჭი! მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მომხდარიყო კენჭის უნა. უარეს კენჭი და დადგინეს უურნალი. უმეტესი აღრჩევითი კენჭი სხვა კანდიდატებთან შედარებით ხვდა დეკ. ცაგარეიშვილს. მაგრამ მ. ცაგარეიშვილმა უარი განაცხადა ამ თანამდებობის მიღებაზედ და ამიტომ წევრის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქმნენ ე. კანდელაკი და ნ. უუბანიშვილი.

შემდეგ წევრების აღრჩევისა წაკითხულ იქმნა მეორე წინადადება სემინარიის ინსპექტორის, რომელიც ითხოვდა ათას ას მანეთს სამღვდლოებისაგან, ხელამხედველისა და გალობის მასწავლებლის ჯამაგირისათვის და სხვა წვრილ ხარჯთათვის. სამღვდლოებამ ამ ხარჯის დასაჯარავად მიუთითა მათგან შენაწირ ფულებზე სემინარიისათვის ამავე კრების უურნალის დადგენილობით.

კრებაზე რამდენიმე დეპუტატმა აღძრა კითხვა სანთლის წარმოების საქმის გაუმჯობესობის შესახებ. სანგრძლივი ბასისი შემდეგ გარდაწვეიტეს, რომ სანთლის წარმოების საქმის შესახებ ანგარიშები შედგეს ეოფელ წლობით და იბეჭდებოდეს უურნალებში, მით ნამეტურ, რომ „საქართველოს მხარე-

ბელში“ ამის დასაბუქდავად ფული არავის დაეხარჯება და საქმეს თუ არკებს. თორემ არ აწებსო.

ადიძრა კითხვა შესასებ გუგლანის დაბუქდისა. ამ საგნის შესასებ, შეძღვე სანგრძლივი მოლაპარაკებისა, დაადგინეს: ეთხოვოს ადგილობით ეხარქიების მთავრობათა მოასდინონ ჯეროვანი განკარგულება გუგლანის სრული თვეის დაბუქდვის შესასებ, რომ ეს წიგნი, ვიდრე მისი ხელნაწერებია, დაიბუქდოს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

პატიმარბურში. უმაღლესი მანიფესტი: წყალობითა ღვთსათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდისა და სხ., და სხ., კუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა: ყოველად შემძლებელთა ღმერთთა იწება მიუწოდამელის კანგებითა თვისითა შეეწყვიტა ძვირფასი სიცოცხლე დიდად საყვარელისა მშობლისა ჩვენისა, ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა; მძიმე ანგულება ვერ დასძლია ვერც წამლობამა და ვერც ყირიმის მარგველმა ჰავამ, 20 ოქტომბერს იგი კარდაიცვალა ლივადიაში მისის იმპერატორების უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა და ჩვენს ხელზედ, ოდეს მთელი მისი სახლობაც გარს ეხვია. ჩვენი მწუხარება სატყვიით არ გამოითქმას, მაგრამ ამას ყოველი რუსის გული მიხვდება, და გვრწამს, რომ ჩვენს ვრცელსა და დიდს სახელმწიფოში ისეთი ადგილი არ იქნება, სადაც მღუღარე ცრემლი არ აღერებოდეს ხელწიფისათვის, რომელმანც უდროვად განისვენა საუკუნოდ და დასტოვა სამშობლო მიწა, ზიწა, რომელაც სრულის გულით უყვარდა, რაძენათაც-კი შეუძლიან რუსის გულს სიყვარული, რომლის კეთილ-დღეობასაც სწირავდა ყოველს თავისი გულის ზრახვას და არ დაუშურავს არც ჯან-მართლობა თვისი, არც სიცოცხლე; და არა თუ მარტო რუსეთში, არამედ იმის საზღვარის უფშორავს ადგილებშიაც არასოდეს არ მოიშლიან პატივისცემასა და არ დაიფიწყებენ იმ

ქვეს, რომელმაც განახორციელა შურყველი სიმართლე და მშვიდობიანობა ყოველად დაურღვეველი იმისის ძეგლობის განმავლობაში. აღარულდემსცა, წმინდა სურვილი უზენაესისა, განგვამტკიცოსცა შეურყველმა რწმენამ ციურ განგების ყოველად საბრძნისამ, გვანუგვმოსცა იმ ამბავმა, რომ მწუხარება ჩვენი, საერთო მწუხარებაა მთელის ჩვენის საყვარელის ერისა. ნუ დაიფიწყებს იგი, რომ ძლიერება და სიმტკიცე წმიდა რუსეთისა მღვამარეობა ჩვენთან ერთობაში და ჩვენდამო ერთგულებაში. ჩვენ კი ამ სამწუხარო, ხოლო დიდებულსა საათსა რუსეთის იმპერიისა, და მასთან განუყოფელ პოლონელთა სამეფოსა და ფინლიანდის სამთავროს ჩვენთა მამა-პაპათა ტახტზედ აღვსლიას გვაგონდება ანდრაძი განსვენებულთა მშობლის ჩვენისა და, განვიმსჯვალენით რა ამა ანდრძითა, წაიდა აღთქმასა ვსდებთ ყოველად უზენაესისა წინაშე ყოველთაი საგნად გქანდეს მშვიდობით წარმატება, ძლიერება და დიდება ძვირფასის რუსეთისა და ბედნიერება ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა. ყოველად შემძლებელი ღმერთამც დაგვეხმარება, ღმერთი, რომელმა მოგვიწოდა ჩვენ ამა დიდისა სამსახურისათვის. აღვაღწერთ რა მხურვალე ლოცვასა ყოველად მპყრობელისა ტრაპეზისა წინაშე, რათა მან მოანიჭოს განსვენება წმინდასა სულსა და უვიწყარის ჩვენის მშობლიასა, ეუბძანებთ ყველა ჩვენ ქვეშევრდომთა დასდონ ფიცა ერთგულებისა ჩვენისა და მეპყვიდრესი ჩვენისათვის, მათის იმპერატორებისთვის უმაღლესობისა და დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა, რომელაც უნდა იყოს და იწოდების მემკვიდრე ცესარევიჩად იმ დრომდე, ვიდრე იწებებს უფალა და მოგვანიჭებს ვაჟშვალსა მომავალს ჩვენსა და ჰქენდარაშტატელას პრინცეპალისას ქორწინებაში. ბოძებულთა ლივადიაში ქრახტეს შობიდან ათას რეას-ოთხმაც-და თოთხმეტაწელსა, ხოლო მეუბიდან ჩვენისა პირველთა, ოცსა ოქტომბერსა“. ნაძვალს მისის იმპერატორებისათს უღაღებულესობას საკუთარის ხელით აწერიი „ნიკოლოზ“...

23 ოქტომბერი

ჰეტერბურგია. უმაღლესი მანიფესტი 21 ოქტომბერს: «დღეს უმაღლესად სახელ-წოდებულს სასძლავს ჩვენსა წმიდა მირონი სცხეს. ეწოდარა სახელად ალექსანდრა, იგი შეიქმნა ჩვენის მართლმადიდებელ ეკკლესიის მხვეალა ჩვენისა და მთელის რუსეთის სანუგეშოდ ამ მწუხარების დროს, რომე-

ლიც მოგვივლინა უზენაესმა მიუწოდებლის განგებითა თვისითა. გეწაჳს ჩვენს ერთან ერთად, რომ სულმა საყვარელისა მშობლისა ჩვენასა ზეცაჳრასა სოფელსა ძყვამა, აკურთხა მისისა და ჩვენის სურვილთ ამორჩეული, რათა მორწმუნე და მოსიყვარულე გულთ გაკვირვილოს განუწყვეტელი ზრუნვა ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღობასა და ბედნიერებისათვის. ყველა ჩვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ლოცვითა თვითა შემოუერთებენ ედრებასა ჩვენსა. წარმოგზავნიმცა უფალა კურთხევასა თვისსა ჩვენსა და ნებათა მისითა ჩვენდამ რწმუნებულ ერის ბედსა ხედა. ვეფუწყებთ, რა ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა ამა სასტრეფელს აშბავს, ვფარანებთ, უმადლესად სახელ-წოდებულთი სასძლო ჩვენი, მისი უმადლესობა პრინციას ასული აღისა მოიხსენიონ ზოლვე უყეთილ-მარწმუნესს დიდ მთავრინა აღექსანდრა თვედ არეს ასულად იმერატარებთის უმადლესობის ხარისხით“.

20 ოქტომბერს

ლინადია. დღე, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევს 2 საათსა და 15 წუთს ლეადრის საახლესა ღვთის მიერ განისვენა ხელმწიფე იმერატარისა აღექსანდრე ქესამეშ. სასახლესდ საწვეფ ბაირადო ჩაოშვებულა რყო; გაისმა ზარბაზნებამ სრულა და მოხზურები განუსაზღვრელს მუხარებამ მიეცენ. მისმა იმერატარებთმა უდიდებულესობამ დილით წმიდა საიდუმლო მიადო პოტოპრესვიტერის იანიშვიისაგან. უკანასკნელ წუთამდე ხელმწიფე იმერატარის სრულ კონებახედ იყო. ხელმწიფე იმერატარისა არ მომზორებია უავგუსტოესს მეუღლეს. ხელმწიფე იმერატარის განსვენების დროს გარა ეხვია მთელა მისი სახლობა. გეჳს გამოეხზენ უავგუსტოესნი მელონი და ნათესაენი, უმადლესის კარს მოხელენი, ამაღა და სასახლის მოსამახურენი.

მეხუთე საათხედ სასახლის ეკლესიის სახლოვეს, მოედანხედ, ხელმწიფე იმერატარის ერთგულება მგმტიცეს. დაუიცა სასახლის პოტოპრესვიტერის იანიშვიისა სამღვდლოების თანამღვთის-მსახურებით. პირველად დაფიცეს დიდმა მთავრებმა, შექდევს სასახლოს კარის მოხელეთ, ამაღამ, კარის მოსამსახურეთ, ლივადიაში მყოფმა ჯარმა, სასახლის პოლიციამ და მისას უდიდებულესობის საკუთარ მხლებელთ («კანელი»).

ს ი ტ ყ მ ა,

თქველი ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის პერ-მონაზონის შ. დიმიტრის მიერ 18 სექტემბერს, ქუთაისში სემინარიის დაარსების გამო გამართულ აქტზე.

თქველი ეოვლად უსამდედელოესობანო და მოწვალენო ხელმწიფენო!

დღეის დღე შესანიშნავია როგორც ქუთაისისათვის, ისე მთელი დასავლეთის საქართველოისათვის. დღეს ქ. ქუთაისში არსდება სასულიერო სემინარია, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ ახლად დაარსებული სასწავლებლის უმთავრეს დანიშნულებასა და მიზნის შესახებ. უმთავრესი და უპირველესი მიზანი ამ ახლად დაარსებული სასულიერო სემინარიისა, როგორც ყოველივე სხვა სასწავლებლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ამ სასწავლებელმა მოამზადოს მართლმორწმუნე, განათლებული და გულმოდგინე მწუქმენი, ქრისტეს ეგლესიისათვის, ხოლო ტანტისა და სამშობლოთათვის პატიოსანი მოდგაწენი. გულმოდგინე და განათლებული მწუქმენი, უმჭველად, საჭირონი არიან რუსეთის ვრცელი სახელმწიფოს ყველა კუთხეებში; მაგრამ ეგლესიის ამისთანა მწუქმენი მომეტებულიად საჭირონი არიან საქართველოში. როგორც ადამოვლეთის საქართველო, ისე დასავლეთის ძველის დროიდგანვე განთქმულია თავისი მართლ-მადიდებლობით. აწინდელი ქართველების წინაპრნი მთელი საუკუნოების განმავლობაში დიდის მეცადინეობით იფარავდნენ წმ. მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას ურწმუნოთაგან, რომელნიც ყოველის მხრით ესივნენ საქართველოს; მთელი საუკუნოების განმავლობაში ეს წინაპრნი თავის სისხლს ანთხევდნენ სარწმუნოების დასაცავად. დიდის სისხლის დვრით მათ დაიცვეს და გადასცეს თავიანთ შვილებს ეს უძვირფასესი საუნჯე—წმ. მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. დღეს, დვთის მადლით, გარეშე მტრები ადარ აწუნებენ საქართ-

ველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიას. მაგრამ მას ემექრებიან შინაურნი მტერნი, რომელნიც უფრო საშიშარნი არიან. ასეთები არიან სხვა-და-სხვა მწვალებელნი, რომლებიც მრავალდებიან დასავლეთ ევროპაში და რუსეთში. ეს მწვალებელნი მონგრებულ ნიადაგს ვოკულობენ თავიანთი სწავლა-მოძღვრების გასავრცელებლად გაუნათლებელს ხალხში, თუ საქართველო დღემდის დაცულია ამ მწვალებლებისაგან, რომელნიც ცხვრის ტყავში გახვეულნი დაიარებიან ხალხში, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შემდეგ დროშიაც ეს მხარე დაფარული იქნება მათი ზედ გავლენისაგან. თუ განათლებულნი მწუქმენი არ უხელმძღვანელებენ ხალხს სარწმუნოების საქმეში, არ მიჩვევენ თავიანთ სამწყსოთ კეთილ ცხოვრებას, არ აღმოფხვრენ ხალხში სხვა-და-სხვა ამაო-მორწმუნეობას, მაშინ ეს ქრისტეს ეკლესიის მტერნი ადვილად მოაშორებენ ხალხს მართლ-მადიდებელ ეკლესიას და დაუენებენ მორწმუნეთ წარწყმედის და დადუპვის გზაზე.

აი ამისათვის საჭიროა შეიქნა დასავლეთ საქართველოში სასულიერო სემინარიის დაარსება, რომელმაც უნდა მოეპოვადოს ხალხს გულმოდგინე მწუქმენი ეკლესიისანი, რომ მათ უხელმძღვანელონ ხალხს სარწმუნოების საქმეში და ქრისტიანულს ცხოვრებაში.

შეიძლება სთქვან: აქაურს მხარეში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ეკლესიის მწუქმენი. ეს მართალია, მაგრამ კიდევ როგორი მწუქმენი არიან აქ საჭირონი? ამ კითხვაზე სხვა და სხვა პასუხის მიცემა შეიძლება; ჩვეულებრივად უმეტესობა ასე ფიქრობს: ემაწვილები შედიან სასწავლებლებში იმისათვის, რომ მათ შეიძინონ საჭირო უფლებანი და, შემდეგ სწავლის დასრულებისა, კაი ადგილები იშოვნონ და თავისი ქვეყნიური ცხოვრებაც რიგიანად მოაწყონ. ამ მოსაზრების მიხედვით სასულიერო სემინარიის მოწაფეც ენდა ეცადოს, რომ კარგად დაასრულოს სემინარიის კურსი, რომ მიიღოს კარგი ადგილი მღვდლობისა და ნივთიერად უზრუნველ ყოფილი იქმნეს. ასეთია საზოგადო ტიპი სამსახურის და ნივთიერი საშუალების მაძიებარი მღვდლისა, რომელიც თავის ხარისხს

მიჩნდება ისე, როგორც წყაროს, საიდგანაც შეიძლება მოიპოვოს ნივთიერი საშუალებანი, რომ ამ ქვეყნად ბედნიერად იცხოვროს. ამისთანა მღვდლები—მწუქმენი, როგორც საღმრთო წერილი მოწმობს, ძველ აღთქმაშიაც იყვნენ. მაგრამ თვით დღევანდელი სასტიკად მნიშვნის იმე მწუქმეთ, რომელნიც თავის ხარისხს უცქერიან როგორც შემოსავლის წყაროს, რომ რაც შეიძლება უკეთესად იცხოვრონ ამ ქვეყანაზე და სრულებით არ ფიქრობენ თავიანთ სამწყსოთ კეთილ-დღეობაზე. აი რას ეუბნება უფალი წინასწარმეტყველის ეზვიის პირით დაუდევარ მწუქმეთ: **ჴაი მწუქმენი ისრაელისანი, ნუ ამოებენ მწუქმენი თავთა ოვისთა, ანა ცხოვართა ამოებენ მწუქმენი? აჴა რქესა შესკაპთ და მატულთა შეიმოსთ და შოსილთა დაჴკლკეთ, ცხოვართა ჩემთა ანა ამოებთ...** ამისათვის მწუქმთა ისმინეთ სიტყვა უფლისა: **ცხოველ ვარ მე, ატუგის აღახანი უფალი, აჴა მე მწუქმთა ჴედან და გამოვიძინე ცხოვარნი ჩემნი სელთაგან მათთა და დაჴცდენე ივინი ანა მწუქმთა ცხოვართა ჩემთა და ანა მწუქმდენ მათ მექმე მწუქმენი და გამოვიძინე ცხოვარნი ჩემნი ზეცისაგან მათისა და ანა მექმე, იყვნენ მათდა შესკამელ (მჴ, მ—10), რასაკვირველია, სანატრელი არ იქნება, რომ ამ ახლად დაარსებულ სემინარიიდან გამოვიდნენ ისეთი მწუქმენი, რომელთაც თვით დღევანდელი რისხვით რქვას: **აჴა მე მწუქმთა ჴელა!****

რა თვისებით უნდა იქმნენ აღჭურვილნი ქრისტეს ეკლესიის ჴემმარიტი მწუქმენი?

ქრისტეს ეკლესიის ჴემმარიტი მწუქმის თვისებანი შეიძლება გავსინჯოთ სამის მხრით 1) შესახებ ღვთისა, 2) შესახებ თავის თავისა და 3) შესახებ მოუვასთა.

შესახებ ღვთისა ქრისტეს ეკლესიის ჴემმარიტმა მწუქმმა ისეთი ერთგულება უნდა გამოიჩინოს, რომ თავისი თავი, თითქმის, სრულებით უნდა დაივიწყოს. ე. ი. ჴემმარიტი მწუქმის მთლად უნდა მიენდოს ღვთის ნებას,

უნდა ცხოვრებდეს არა თავისი თავისათვის, არამედ ღვთისათვის, უნდა აგეთოს ის, რაც ნებაგვს ღმერთსა და შეიყვაროს ის, რაც უყვარს ღმერთსა: ასეთი ერთგულებით მიენდო ღვთის ნებას, სხვათა შორის, მოციქული ჰავლე, რომელიც თავის თავზე ამბობს: კსტხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე.

თავის შესახებ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწყემსი სარგე უნდა იქმნეს თავის სამწყუსოისათვის, მან უნდა უჩვენოს ყველას მაგალითი სიმაკაცრობისა, ზომიერობისა და მოთმინებობისა. წმ. მოციქული ჰავლე ტიმოთესადმი პირველს ეპისტოლეში ვრცლადა სწერს, თუ რა თვისებით უნდა იქმნეს აღჭურვილი ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწყემსი: ჭურ არს კისკეპანისა, ამბობს იგი, რათა უბრალე იყოს, ფრთხილ, წმიდა, შემაგულ, სტუმართ-მოყვარე, სწავლულ. არა მელვანე, არა ანგარ, არა სამაგლის შემინებელ, არამედ მუდგრო, უღალკელ, გიბსლის უყარელ, თვისისა სახლისა კეთილად განმეგებელ, შეიღნიმცა უსხენ დამოწმებულნი ყოვლითა დასრებითა (ა. ტიმოთ. III, 2—4).

თავის მოყვანთადმი ისეთი სიყვარული უნდა გამოიჩინოს ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტმა მწყემსმა, რომ იგი მუდამ მზად იყოს თავის თავი შესწიროს სამწყუსოის ბედინერებისა და კეთილ-დღეობისათვის. კეთილი მწყემსი, სიტყვისაებრ მაცხოვრისა, თავისსულს დასდებს ცხოვარათვის. წმ. მოციქული ჰავლე მზად იყო, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, უარ ეყო თავის საუკუნო ცხოვრება, ოღონდ კი მის თანაზომებთ, (ურები) მიეღოთ ასეთი ცხოვრება. ჭეშმარიტი მწყემსი თავის ცხოვრებაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ თავის მოყვანთა ცხოვრებაზე. ყოველივე მხიარულება და უბედურება, დირსებანი და ნაკლულივანებანი სამწყუსოთა იმდენად უნდა ამხიარულებდეს და

აწუნებდეს მწყემსს, რამდენათაც თავისი საკუთარი. ერთი სიტყვით მწყემსი ვალდებული არის თავიანთ სამწყუსოთ დაზმარება და შემწობა აღმოუჩინონ ყოველივე საჭიროების დროს. ძველი ადამის იუდელების მწყემსნი იმიტომ უარ ჰყო ღმერთმა, რომ სიტყვისაებრ წინასწარ. «იეზეკიასი, დავრდომილი არ განაძლიერეს და სწეღნი არ განკურნეს, გზა დაკარგულნი არ დააყენეს ჭეშმარიტების გზაზე და წარწყმედულნი არ მოიძიეთ». (34, 4).

ასეთი უნდა იყოს საზოგადოდ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი მწყემსი.

მასხადაამე, ამ ახლად დაარსებულ სასულიერო სემინარიას ადევს დიდი და ძნელი მოვალეობა—მომზადება ჭეშმარიტ მწყემსთა, რომელთაც შეურცხვენლად იმოქმედონ ქრისტეს ყანაში და შესაფერად ჰქადაგებდენ ქრისტეს მცნებას.

თუ ეს თავის დიდი მოვალეობა შეასრულა ამ ახლად დაარსებულმა სემინარიამ, ამით, უეჭველად, იგი დიდს სამსახურს გაუწევს არა მარტო ქრისტეს ეკლესიას: არამედ სახელმწიფოსაც. განიხიერი მიმდინარეობა და წინსვლა სახელმწიფოსა და სამოქალაქო ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხში მადლა სდგას ზნეობა, რომელიც მადლდება ქრისტეს ეკლესიაში ჭეშმარიტ მწყემსთა ხელმძღვანელობით. აქედამ ცხადია, თუ პირველი საუკუნის ქრისტიანები რათ იყვნენ ისეთი საუკეთესო კეთილ-მორწმუნე რომის სახელმწიფოსა! იმათ გარგად ესმოდათ მოციქულის სიტყვა: რომელი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწყესულ არიან. რომელი ადგობდეს ხელმწიფობასა, ღმრთისა ბრძანებასა ადგების. (რომაელ. 13, 1, 2).

ვინ წაიღო კვართი უფლისა და ღვთისმშობლის ხატი ოდიგოტრი მცხეთის საკრებულო ტაძრიდან და ან ვინ მიიტანა ისინი რუსეთში?

1622 წელსი სპარსეთის შაჰ-აბასმა დაიხურა საქართველო, ღვთის ტაძრები დაანგრია და აღაოხრა, წმიდა ხატები შეურაცხვეს და გააჭკრეს, ხოლო ზოგი ხატები და მათ შორის უფლის კვართიც მოიტაცეს ურწმუნოებმა და გასასყიდად სპარსეთში გააგზავნეს. როცა შაჰიმ გაიძარცვა და სპარსეთში დაბრუნდა, უფლის კვართი, ძვირფას კიდობანში ჩადებული, საჩუქრად გაუგზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს, 25 მარტს 1625 წელსა. დღეს ეს კვართი უფლისა იწევა მოსკოვის მიძინების ტაძარში, სადაც, ჩვეულებრივად, გვირგვინისაგან რუსეთის მეფენი. ამ სახით სხვა მრავალ მოტარებულ საღმრთო ნივთებთან ერთად გაგზავნილ იქმნა სპარსეთში სასწაულო მომქმედი საქართველოს ხატი ღვთისმშობლისა.

ამ დროს საეპისკოპოსოს საქმეებისა გამო სპარსეთში დადიოდნენ რუსის ვაჭრები, რომელნიც დიდის სიამოვნებით უიღულოდნენ სპარსელებისგან საქართველოდამოტარებულ საღმრთო ნივთებს. ერთ რუსს იროსლანოვი ვაჭრის ეგორ ლიტვინის ნაქარს სტეფანე ლაზარკეს ერთმა სპარსელმა მიუტანა ღვთისმშობლის ხატი ოდიგოტრი, რომელიც მართლად იყო ოქროთი და ჭერცლით, ვინაიდან სპარსელებმა იცოდნენ, რომ რუსები დიდს პატივს სტემდენ წმიდა ხატებს. კეთილ მოწმუნე სტეფანემ დიდას სინარულით იყიდა ეს წმიდა ხატი. როცა სპარსეთში სტეფანემ ეს წმიდა ხატი იყიდა იაროსლანოვი ვაჭარმა ლიტვინმა შემდეგი სიზმარით: « შენმა მოუჩაგმა სტეფანემ, რომელიც ესა სპარსეთში იმყოფება, გიყიდა შენ დაუფასებელი ბასკრი და როცა იგი მოგიტანს მასს, შენ გაგზავნე მკირფასი ბასკრი ღვთის სამთავროში, შავს მთაზე ». ამ სიზმრის ნახვის შემდეგ ლიტვინი წავიდა ჩვევისთვის მოსკოვის პატრიარქ თეოდორეთთან. მაგრამ მალე შეიტ-

ვეს, რომ იყო საქმე. მალე სპარსეთიდან დაბრუნდა სტეფანე ლაზარკე და ჩააბარა თავის აღას ღვთისმშობლის წმ. ხატი, რომელიც მან იყიდა სპარსეთში. ეგორ ლიტვინმა დიდის სინარულით მიიღო ეს «მკირფასი ბასკრი» წმიდა ხატი და მამინე უწმიდასი პატრიარქის ნება-რთვით და ჩვევით გაემკვიტა სიზმარში სასწაულებრივი სახით ნახვენად ადგილს, და თავისი ხელთ, 22 აგვისტოს 1629 წელსა, სასწაულო მომქმედი საქართველოს ხატი ღვთისმშობლისა მიიტანა შავი მთის, შემდეგ წითელ მთად წოდებულს, მონასტერში, რომელიც აშენებულ იქმნა 1603 წ. მღვდლის მკრონის მიერ ღვთისმშობლის განსაკუთრებით გამოცხადებით. ამ მონასტერში ამ ღვთისმშობლის სასწაულო მომქმედი ხატის მისვენების დღე დიდ დღესასწაულად დაინიშნა; ეს დღესასწაული მიღებულია მართლ-მადიდებელი ეკლესიისგან და 1650 წლიდან ეს ღვთისმშობლის ხატი სხვა ადგილებით ხატებ შორის ირცლება. მის შემდეგ, როცა ნოვგოროდის მიტროპოლიტმა ნიკონმა, შემდეგ სრულიად რუსეთის პატრიარქმა, მოწმე ის სასწაულები, რომელიც მოხდა ამ სასწაულო-მომქმედი ღვთისმშობლის ხატის მეოხებით, ამავე პატრიარქმა დაამტკიცა ამ ხატის სადიდებლად დღესასწაულობა და ამის შესახებ სიგელიც გამოცხადა, რომელიც დაწერილია მოსკოვის ნოვგოროდის პოლკოვნიკი ქევენის შემხინდამ 7158 წელსა თებერვლის 8 დღესა.

თუ რა სახით მისვენეს წითელ მთის მონასტერში საქართველოს წმიდა ხატი, ეს კარგადაა სჩანს იმ აწერილობისგან, რომელიც მოთავსებულია ვაჭრის ეგორ ლიტვინის წერილში:

„1629 წელსა, აგვისტოს 22 დღესა უოკლად წმიდა ღვთისმშობელმა დასვენა ტაძარში ხატი უოკლად ოდიგოტრისა, რომელიცა ზღვის აქედგან, სპარსეთის ქვეუნიდამ იქმნა მოტანილ. მხატვრობა ბერძნულია, მთელი ხატი გამოქანდაკებული კერცლით არის დარული, გვირგვინები, შუა ადგილი და არსები მთლად მოჭკრილია; ამ ხატს დადებულია ქვის აღის თეკრი მოჭკრული ტილო, მთელი ხატის მოჭკვილობა

ღირს თათხმეტი მხნეთი. ხატი სიგრძით 10 და სი-
სიგანიო 7 გოჯია.

ყოვლად სამღვდელთა ათანასემ, ხელმოგორის და
გაუესვის ბიძგულმა მთავარ-ეპისკოპოსმა, თავისი მოს-
კოვში მყოფობის დროს, საეკლესიო საჩემებისა გამო,
1697 წელს, შეუგებთ ამ სასწაულთ-მომქმედი ხატი-
სათვის ვერცხლის მოჭედებობა, რომელიცა იმავე წელ-

ხატის სახე დათვალიერა, ნახა, რომ ეს სასწაულთ-
მომქმედი საჭაბოკო ხატი ძველი დროის მხატვრობა
იყო. დახატულია თითბრის გარეშით სქელს მუხის
ფიფრზე, შუაზე ამოჭრილია, ნაზიკობი გამოწველი
აქვს; ქვემო ბოლოს შუაზე წინა ბიძგე ამომტრეულია
ის ნაწილი, რომელზედაც გამოხატულია ფეხი ძემღეთისა.
ზემოთ წაწერილებულია, თვითონ ფიფრი გასე-
თქილია თავადვე ურწმუნო სხაბსელებსაგან, რომელთაც



სახე იმ ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც სპარსელებმა
წაიღეს მცხეთიდან.

ში გააკეთა რქო-მჭედელმა ვასილი კლიუგინმა; ეს მო-
ჭედებობა ღირს 48 მ. 15 კ. როცა ყოვლად სამღვდელთა
მოსკოვიდამ დაბრუნდა, ხალი მოჭედებობა თავის
ხელით გაუკეთა ხატს ჟგარის ეკლესიაში 21 მარტს
1698 წელს, არშხათს, დიდი მარხვის შესამე დღეს.
ამასთანვე ყოვლად სამღვდელთა ათანასემ, როცა ამ

აღბათ ან შუბი და ან რამე იარაღი დაატრეეს ამ ხატს.
არაგინ უწეის, ვინ ან როდის მიაწება და შეაკეთა ეს
ხატი; მხოლოდ ამხნეია, რომ ის დახატული ყოფილა
მთელს ფიფრზე, და როცა გახეთქილა, შემდეგ გაუ-
მაგრებიათ, ხოლო ამოტეხილი ადგილი ამოკსილია იმავე
სახით და შეკეთებულია მხატვრობით. ამავე დროს

უკლებლად სამედიკალო ათანასემ თავისი ხელით გასწვინდა მტკიცისაგან დაბრუნებული ნაპირები შეაკეთა და, როცა ვერცხლის მოჭედვით გაამაგრა, მეორე კვირადი ხატისა დაფარა რქოთი. *)

ამ სახით მოტანილ იქმნა საქართველოდამწითელი მთის მონასტრში ქრისტიანობის შიკველი საუკუნის წმიდა ხატი, რომლის მეხსიებით ხსენებულს მონასტრს მკვლევან განსაგებებთი მადლი ზეციური დედოფლისაგან. უკვლავ ის სასწაულებო და გამოცხადებანი, რომელიც ამ წმიდა ხატისგან მოხდა, საწმინთო თავს მდებარეობის, რომ ამ ხატს უყვარს და იფარავს მართლმადიდებელთ. და მსოფლიც იმ დროდგან, რაც ამ მონასტრში მოსვენებულ იქმნა წმ. ხატი საქართველოს ღვთისმშობლისა, ამ ადგილის დიდება თან-და-თან ძლიერდება და წითელ-მთის მონასტრში სახელი გაითქვა მრავალი სასწაულებით. ამ სასწაულთ-მოძქმედი ხატის მადლით განიკურნენ მრავალი სნეულნი, რომელნიც უკურნებელი სენით იყვნენ შეპყრობილნი და ამ მოკვლევან დიდი ზედ გაკვლენ აქვს მარწმუნეთა გონებისა და გულზე. ეს სასწაულებო გაითქვა მთელს რუსეთშიც, ამის გამო ამ მონასტრში საღვთავად მიმსკლულ შიშთა რიცხვმა იმატა და ამით მონასტრში ნიუთიყრად გაუჩნდებდა.

იარსებადგამა ვაჭარმა ეგორ ლიტვინმა, რომელიც დიხსი გახდა ღვთაებრივი გამოცხადებისა, რომლის ძალით საქართველოდამ წითელს-მთის მონასტრში მოტანილ იქმნა წმ. ხატი ღვთისმშობლისა, დიდი ამბავი დასდგა ხსენებულს მონასტრს. ამ ვაჭარს დიდი საწმინთობა აქვდა ამ წმიდა ხატისა, და ამიტომ მან ამ მთავარად უფრო კარგი ტაძარი, გამშვენა იგი და მოუზარა შესაფერი მართლმადიდებელი და წიგნები.

დიდიგან წითელ-მთის მონასტრში საქართველოს წმ. ხატის მოსვენებისა, ხსენებულმა მონასტრმა დიდი

შენიშვნა: დღეს საქართველოს ღვთისმშობლის ხატს გაკეთებული აქვს რქოთი მოჭედვით, რომელიც გაუკეთებიათ 1860 წ. და რომელიც დიხს 3,600 მან. ვარდა სხვა მართლმადიდებლისა.

სახელი და მნიშვნელობა მოიხსენიება მთელ მართლმადიდებელ რუსეთში. დასაწმინდა ეს სახელი მარტო დინის სამედიკალოში იყო გავრცელებული, შემდეგ ამ მონასტრის დიდებმა გაითქვა უკვლავ და მიაწია მეფის ტახტამდე. ალექსი მისილის მის მეფობის დროს და მისივე ბრძანებით, რომელიც მიეცა მონასტრის წინამძღვარს 30 დეკემბერს 1653 წელს, ეს სასწაულთ მოძქმედი საქართველოს წმ. ხატი ღვთისმშობლისა წაღებულ იქმნა ციმბირში ლენის დიდ მდინარეზე და რუსეთის შუა ქალაქებში: უსტიუგოში, ვალკოდაში, ტოტმაში, იარსლავში, პეტროპოლში, ზაღვსკოში და მოსკოვში. მოსკოვში წითელი-მთის მონასტრის წმ. ხატის უფროსი აღიბეჭდა შემდეგი სახით:

მოსკოველ რქომჭედელს გაბრიელ კვდოკიძეს ჰქვამდა ავად შვილი. ბევრი დღის შემდეგ სრულებით იმედი დაჰკარგა ექიმებსე და მიენდრა ღვთის მოწყობას და სასოებდა, რომ ღმერთი განკურნებდა მის შვილს. როცა მან შეიტყუა სასწაულთ-მოძქმედი ღვთისმშობლის ხატის მოსვენება მოსკოვში წითელ-მთის მონასტრიდამ, დიდი მარცხის შიკველ კვირას თავისი შვილი გაუგზავნა ბერ-მონაზონს მავარას, რომელიც ამ წმიდა ხატთან იმყოფებდა, ბოგდნ შჩეპოტინის სახლში და სთხოვა, რომ მას, მ. მავარას, ის სასწაულთ-მოძქმედი ხატი მოსვენებია ამ რქომჭედლის სახლში და შიკველისა გადახდა. მართლაც ტუთილი არ გამოდგა მისი იმედი: მისი საწმინთობის და ღვთის ძალით ავადმყოფი განიკურნა. იმ მოწყობისათვის, რომელიც ამ ხატმა მოკვლევან გაბრიელ კვდოკიძის ავადმყოფი შვილს, მან აღთქმა დასდგა გადაეღო ნამდვილი სახე საქართველოს სასწაულთ-მოძქმედი ღვთისმშობლის ხატისგან და ეს აღთქმა მისგან მაშინვე იქმნა აღსრულებული.

ამ ღვთისმშობლის ხატისგან გადაღებული სახე დასვენებულ იქმნა ნეკლინის ტაძარში. დღესაც ასევე ეს ხატი მოსკოვის წმ. სამების ტაძარში ბარბარეს ტიშკის მახლობლად, და ჰქვამდებიან მათ, რომელიც მან საწმინთობით და სასოებით შეეკვდრებან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმენოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

ქადაგებ მღაბითა ხალხთა მიძარტ, თქმული სეკტემბრის თვეში 1795 წ. აბრტოსი ნეგრესელის მიერ აღმაჰმადანის შემოსევის დროს საქართველოში.

აღმოგვხვრნე თქვენ ქვეყანისაგან რომელი მიგეც თქვენ, და სახლი ესე, რომელიცა წმიდაი გუაგ სახელისა ჩემისა, განვაგდო პირისაგან ჩემისა, და მივსცე იგი იგავად, და ამაჰად ყოველთა წარმართთა მგორესა შინა ნაშთისა, თავსა, 7, და რიცხვსა, 19.

ღეთის-მოყვარებით შემოკრებულნო ქრისტეს ერნო, ჰე ცოდვთა ჩვენთაგან ქართლსა ჰე კახეთში ესოდენს ეამსა, ჰე, ახლა უფრო კიდევ ნამეტანად, უსჯულოთა ჰე ქრისტეს მგმობელთა მტერთაგან დამდაბლებულნო, ჰე მუდამ აოხრებისა და წარტყვენისათვის შეშინებულნო! რაც დღეს ესოდენი, დაწვა, აოხრება და დატყვეება მოგვევლინა, ხომ ჩვენისავე თვალით მოენახეთ ეგოდენი საცოდობა; მაგრამ ზოგნი არცარად კი ვაგდებთ, და ახლა, კიდევ რას განსაცდელს მოველით ღეთის საშინელის გულის-წყრომისათვის, დიღ ყური დავგიღდია, და ეს არ ეიცით, რა მიზეზი არის? მრავალთა და ბევრთ თქვენში ეიცით, ამისი გამოცდილება გაქვსთ, რომე კაცი სინარულსა თუ მწუხარებას რომ შემოიციდის, ან მეცნიერება არის და ან უმეტრება; ან სიმართლით იქმს და ან ზაკვით, და ვერაგობით. ახლა ამაჰ, ღეთის-მოყვარენო, თუ სინართლით ეიქმთ, სიმართლის მეგობარი ხომ წმიდაჰ ლოცვა არის და ღეთის-მსახური გონება არის და ცოდვაზედ ხელის აღება. ესინი არიან სიმართლის მეგობარნი და ამავების მომქმედი მიენდობა ღმერთსა, და ღმერთიც განუმარჯევებს ჰეშმარტად, ვითარცა წმიდა მოციქული დასწერს, ვითარმედ «ღეთის მოყვარეთა ყოველივე განემარჯევებისო» და თუ ვერაგობა და ზაკვა არის, ეს ხომ ყველაჰ კარგად ეიცით, რომ ღმერთთან ამისთანაგებს ვერას გავაწყობთ, დიღ სწრაფი და მოკლე დღე აქვს ამისთანას გრძნეულებასა. სან-

თელსა გავს, საყვარელნო, ამისთანა მტკევი კაცი ასე ჰგონია, რომ ყველას უნათებო, მაგრამ საწყალობელი უწინ თავის თავს დასწავს; ეს კარგად უნდა იცოდეს. მერზე ესეც უნდა იცოდეს კაცმა, რომ ღმერთი ჩვენგან არც გამოიცილება და არც მოიცილებება; მაგრამ ღმერთი კი გამოსცდის კაცსა. ვითარცა წმიდანნი მამანი იტყვიან: და მრავალნიც გამოიცილდენ მიზეზისა რასათვისმე.

ეს არ იცით, საყვარელნო რომე ცა რომ მოღრუბლავს, მგელიც მაშინ ასტყდება, და ნისლიანს დღეში დაუწყებს ცხოვარს დვენასა? ნისლი ასე გავსინჯოთ, რომე ღეთის წყრომა არის, და მგელი, ჩვენზედ მოწვენული მტერი არის ხილული და უხილავი, და ჩვენი ცოდვა არის ჰეშმარტად და ჩვენის გონების დაბნელება ღეთის წყრომას მოუღრუბლავს ჩვენზედა, და ჩვენმა ცოდვამ ასე თვალეზი დაგვახუჭვინა და გონებაც დაგვიბნელა, რომ ამისთანას ჩვენზედ მოწვენულს ღეთის წყრომას ყურს აღარას უვდებთ, და ზოგნი კიდევ ეიცინით. და განასცხრებით „ჩვენ ხომ არა ავეტეხია რაო, რას დავეძებო, ვისაც რა უნდა დავმართოსო?“ ვაი, ვაი, ქრისტენობაჰ, სადა ხარ, ამისთანას თქმაზე ღეთის-კულის წყრომისა რისხვით და საშინელებით აღჰძრველო?! ვაი რა ცოდვა დათესილ არს ჩვენში! და ვაი რა უგულის-ხმობის შავსა და ბნელს ღრუბელს დაუბნელებია ჩვენი გონება! გვესმის წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან, რაოდენნი და რა საშინელნი მხილებანი და ბძანებანი? და თვით წმიდაჰ სახარება, რას თვითოსა და თვითოს საშხალებელის საყვირით ჩავეძანის, გვადვიძებს და ვერ გავგიღვიძნია? და ახლა თვით საშინელი ღმერთი ძლიერი საბაოთ, დიდი ღმერთი ზეციდამ გვემუქარება სოლომონ ყოველ განბრძნობალის პირითა, რომ თუ ჩემს ბძანებასა და სიტყვას არ დაიმაზხეთო, მაგას არ გაკმარებო, მაგ თქვენის სამკვიდროსაგანაც სრულიად აღმოგფხრნეო, მაგ თქვენის ადგილისაგანაც სრულიად დაგკარგო, ჩემის პირისაგანაც გავაგდებო და მაგ თქვენს მოუქცევლობას ყოველთა წარმართთა შორის იგავად და ამაჰდ გავსთქვამო! ❦ რი საშინელო ღმერთო ცისა და ქვეყნისა ზღვისა და ხმელის დამბადებელო! ღმერთი, ნეტარ ასე გულიწყრომით რაზედ განგარისხეთ და განგამწარეთ, რომ ამ შესაძრუნებელის ბძანებით გვემუქარები?! ერთი კაცი რომ ერთს საშინელს აღვლევებულსა და აღღუ-

ლებულს ზღვაში, ერთს მცირეს ნაეში იჯდეს, მენავეც გასკლოდეს, ნიჩაფიც ხელიდამ გაეარდნოდეს და თვითან მარტო შეშინებული აჰქონდეს და დაჰქონდეს იმ საშინელის ზღვის ღელვასა, და მიხნლიდეს და მოახლიდეს, მწარედ თავ განწირული და დასანთქმელოდ განმზადებული არ იქნება ის საწყალობელი? საშინელი ზღვის ღელვა ხომ ღვთის საშინელი გულის წყრომა არის! მცირე ნაეი ხომ, მწარედ მუდამ მტრისაგან შეწუხებული, ჩენი ქვეყანა არის; კაცი მუდამ მწუხარებით აღესილნი და საწყალობელნი ხომ, ჩენა ვართ, მენავე ხომ ჩენი სასოება ღვთისმშობელი არის; ნიჩაფი და საჭე ხომ ლოცვა და ღვთის ვედრება არის! ვართ შემწყვეტელნი, საყვარელნი, ამ ერთს მცირეს ნაეში, მცირესა და ცოტას აღვიღო! ესოდენი ხანია, იმ ჩენს დიდს ამ ჩენის ბატონების მამა პაპათ მეფეებს აქეთ, მუდამ შეწუხებულნი ღვთის გულის წყრომისაგან ვიღვლებით. ზოგნი სიღარიბითა და ქერივ ოხრობით სიმშლიისა და წყურვილისათვის ვჩივით, ზოგნი უწყალოსა და შეუბრალებელის მწარის სიკვდილისაგან ობლად დარჩომისა და უღრო უქამოდ გამოსალეებასა ვსტირთ და ზოგნი უსჯულოს ჩენის ქვეყნის მტრებისაგან მუდამ და ყოველს წელიწადს, ისე მწარედ განმწარებულნი თავსა და პირში ვიცემთ! და კიდევ, ზოგნი ასეც მოუძღურდით, რომ მართლა აღარც ლოცვისა და ღვთის ვედრებისაკენ ვართ. ერთიც მოგვაკლდნენ, სიცოცხლეც მოგვაკლდა, სიკვდილამაც მალა გვიყო, ცოდვაც მოგვერია, და ხელი ვეღარ ავადეთ, ჭეშმარიტად. სასოება ეს არის, წარკვეთილი გვაქვს, რომ ყველანი, ამას ვცნენათ; ნეტარ რა ვქნათ და რა გვეშველებს! და რომელსაც ვიქაღით და ვსასოებთ, რომ საქართველოს ერნიო, ღვთის-მშობლის კერძი და წილ-ხლომილნი ვართო, თვით ღვთისმშობლისაგან დაქადებულნი ვართ «იმათ მე მოვაქცეო, ყოველს ქვეყანაზედ საქართველოსა და იმის ერს უმეტესად აღვამაღლებო;» მაგრამ ვაი ჩემდა, ვაი, ახლა ყველასაგან უფრო დამდაბლდა, ყველასაგან უფრო დავცა, ყოველს ქვეყანაზედ სახელ განთქმული ქართლი და კახეთი და იმისი ერი ახლა ყველასაგან უმეტესად და უფრო და უფრო დავცა, დაიხარა და დამცირდა! რამდენჯერაც მუხლი მოგვითრევი და შეგხვეწნივით, და კენესით და ცრემლით შეგვიტირნია ღვთის-მშობლისათვისა, ამასაც თავისი დედობრივის მოწყალებით მოუხედავს და შეუბრა-

ლებივართ. ჩენი კენესა და ტირილი გაუგონია — თავისი მოწყალე გული დიად მალე გამოუბრუნებია ჩვენზედა, მაგრამ ახლა ვეღარც ამისი მოწყალე გული მოვიგეთ, რომ ჩვენში ერთი თავისი მოსაწონებელი კეთილი რამ დაენახა. თუ არ ცოდვა, თუ არ სიბალწე, თუ არ ურჩება და ამპარტავენება; თუ არ შური და მტეობა; თუ არ ღვთის და ბატონის ბძანების გაუკონებლობა და შეუსმენელობა; თუ არ უმოწყალობა და სიხარბე და ანგარება; თუ არ უსამართლოება და საბრალოსა და შეწუხებულის განუკონებლობა. და შეუბრალებლობა; თუ არ წირვისა და ლოცვისა, და ეკლესიისა და მოძღვრის უყვარულობა; თუ არ ერთხანეთას ჯაბრითა და ზაკით მოქცევა, რომ ჭეშმარიტად ჩენი პირი სხვას ამოხს, და გული სხვას ზაკვასა ზრახავს. და სიმართლე დაკარგულა უფროსლა ჩვენში, და ამისთანა და კიდევ უარესი ცოდვებიც დადადებს ჭეშმარიტად! ცოდვა განმრავლებულარს, ცოდვამ გაგვაოხრა, და ჩვენს ქვეყანასაც ჩენი ცოდვა აქვს, არღვევს და ამდაბლებს ჭეშმარიტად! აბა რომელი ქვეყანა გინახავსთ და გაგიგონიათ სიმართლისაგანა და მადლისაგან და ცემულა და დამდაბლებულა! არც ერთი და არა სადა ჭეშმარიტად, თუ არ ცოდვითა და სიბოროტით აოხრებული და დაცემულა! ჯვარიმცა აქვს და კუძოხევა ჩვენს სანატრელს მეფეს! თითქმის ჩენი ცოდვა, ჭეშმარიტად მრავალჯერ ამის კეთილ-მსახურებასაც შეაწუხებს ხოლმე, საქმეს გაუმრუდებს და უმარჯოდ მოუქცევს. ამით რომ, რომელთაც საიდუმლოს შეკრებით ამათის უმაღლესობის ღვთის მოყვარე ხმა გსმენიათ. დიად სიმდაბლით და განკვირებთ მრავალ-ჯერ უბრძანებია „ჭეშმარიტად განკვირებულ ვარო, თუ არ-ჩემი ცოდვაო თორემ რისაგან არის! ვისიც მოყვარობა მოვიდომეო, მტრად გარდამექცაო; თუ გასამარჯვებულს გზაზედ დაედგო და იმედი დავიდეო სწორედ დაჯერებთ ეს არის გამემარჯვებო, იქ დამიპარცდება და გავთავდებო?! ეს რა ჩემის ცოდვისა და ჩენის ქვეყნის უხედაურობა არის, გაკვირებულვარო“. ახლა ექენი გასინჯეთ, ღვთის-მოყვარენო, ამისი კეთილ-მსახურება, რომ თავისს ცოდვას, აბრალებს! ამის მეფობას ხომ დავით მეფესავით ეს უსჯობს, და კიდევაც ასე ბძანოს და ღმერთიც მიხედავს ჭეშმარიტად; მაგრამ ღმერთმან დაიფაროს, ცოდვილიც რომ იყოს, ჩვენ ასეთი სულნი უნდა ვიყენეთ ჩვენ.

ასეთი საწმადე და ლოცვა უნდა გექონდეს, აქენი სულის ღვთისა მიმართ, ედრებათა ამისა მეფეობა უნდა დაიფაროს, ყოველსავე შინა კეთილად განემარჯვოს და ჩვენს თავსა და ჩვენს ქვეყანასაც ეშველოს, ჩვენ ამისთანა ლოცვა და ედრება უნდა შეგვექმლოს. მაგრამ ვაიზე თუ ამისთანა წმიდა და მართალი ლოცვა არ იყავს ჩვენმა? ვაი ჩემდა თუ იმ უსჯულოთა და უღმრთოთ, და ქრისტეს მტერთ, ჩვენი ამისთანა უნასოება ათავამებდეს და აკადნიკებდეს? თურემ ისინი ჩვენ რატომ უნდა გვქმლავრობდენ! ისინი ჩვენზედ რატომ უნდა კადნიერებდენ და გვერეოდენ? ჩვენ იესოს მოწინა, ჩვენ ჯვარ-ცმულის უცდაკის სისხლათ სყადულის, ჩვენ ჯვარ-ცმულის იოსებ მგლოჯარის მარიაშია ღვთის დედის წილ-ხადმილნი შეილნი! ვაი, ვაი, ვაი, ვაი! ჩვენთვისა ჯვარზედ განშემგლებულა იესოს ესოდენს წყლულებას, ესოდენს ვნებულებას, მაწყალეების კარი ჩვენთვის რად დაუშავს? რად დაუშავს ჩვენ ტოდელითა მონათაჲს? ევოდენს იესოს სატანჯველს ევოდენს ყკრამლას ცემას. ევოდენს წმიდას პარზედ ცემას, ევოდენს მიწაზედ უწყალოდ თრევას, ევლას გვირგვანის დაღმას, წმიდასა და სუფთას გვამზედ და დაწყლულებულსა და ნაგვემ მხარზედ ჯვარის ტურათას. მერმე ჯვარზედ დასხველასა და ხელისა და ფერხის დაწყლულებასა და გვერდს განღებასა და ჯვარიდამ ჯვარ-ცმულს, მშვიდს იესოს საპა საათს სისხლის გარდმადინებას, ავაებს ამ ვნებებს ჩვენთვის მოწყალეობას კარა რად დაუშავს?! ახლა ესენი დაუტეოთ და სხვათა წმიდათათვის ვიტყოდეთ, რამ ევოდენთ წმიდათ წინასჯარეკეულთა, წმიდათ მოცუქულთა, წმიდათ დიდთა მღვდელ-მომძღვართა, წმიდათ ქალწულთა დედათა წმიდათ მოწამეთა ქრისტესთვის წამებულთა, ქრისტესთვის და ყოველისა სომლისა სამეოხოდ სისხლთ-დათხეულთა, ევოდენი სასწაულნი და ევოდენი საკვარეველებები, ნეტარ რას დაუდრებია? არა უწყა, რას დაუშავს? არა უწყა. ხომ ყოველივე ჩვენთვის მეახებენ, ხომ ყოველივე ქრისტეს წინაშე ჩვენთვის ლიტანიობენ და ვედრებასა შესწირვენ; და ვალა შეუწყვან ჩვენისთანას ცოდვილსა, და როდისღა გვიშველიან, და საღლა დაგვახელებენ ამისთანასა და ასეთს შეწყობებულსა? თვით ყოველად წმინდამან დედამ მღვთისამან, როდესაც თავის წილ-ხადმილად გამოი-

რჩია საქართველო. და ეშმაკთ მონებისა, და კერპთ-მსახურებისაგან გამოიხსნა, თუმცა ოდესმე წარმართნი და უსჯულონიცა ჰყოლობდენ ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ კეთილმსახურნი და ღიღნი მეფენიც მრავალნი მეფობდენ, ღვთისმსახურებით ხელმწიფებდენ და განაგებდენ საქართველოსა. დიდებულები ხელმწიფე დიდი ვახტანგ პირველი, დიდებული დიდი მეფე თამარ, დიდებული მეფე ბრწყინვალე-გიორგი, დიდებული წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი, და სხვანიც სანატრელნი მეფენი მრავალნი. ამა ღვთის-მსახურთა მეფეთა აქენდათ ძლიერება უძლეველი, სიმალე გარდამატებული, სიმდიდრე აღურაცხველი ერნი და ქვეყანანი სიმდიდრითა, სიყვითა, და ყოველის კეთილთა აღსავსენი. ახლა ესენი რა იქნა, საყვარელნი? ისინიც ხომმე ჩვენის ბატონებისა. თავიანთ შეილებისათვის იღვწოდენ, და მტერს ამდაბლებენ, და ამათ სამკვიდროდ ტახტსა და ქვეყანას უკვიდრებდენ? და ახლა, ამათს გარდა ხომ ჩვენს მამა პაპათ დროს ქრისტესთვის ახლად სისხლდათხეული დიდებული დიდი მოწამე დედოფალი, ქეთევან, ქრისტესთვის რა საშინელის სატანჯველებით წამებული უღმრთოთა უწყალოთაგან? ისიც ხომ ამათი დიდად ახლო დედა და ბებია იყო, და იპე წამებასა და სატანჯველებშიაც ხომ ეს თავისნი კეთილ-მორწმუნენი შეილნი ახსოვდა, იგონებდა და ამათთვის ევედრებოდა ღმერთს? და რამ დაადრემა იმისი წმიდა და მართალი ლოცვა. და ქრისტესთვის ევოდენი იმისი სატანჯველი, რატომ მეფეს ერეკლეს არ შეეწევა, და ამათს მტრებს არ დასცემს, და არ დაამდაბლებს?! საქართველოს შეილნი, ვიტროთ, ვიგლოვთ, და ჩვენს უბადრუკს ცხოვრებასა და სიცოცხლეს ვაბრალოთ და ვაყვედროთ!!!


ახლა ესენიც რომ დაუტეოთ და უფრო ახალი მეფე, და უფრო მართალი ხელმწიფე ჩვენს დროსა და სიცოცხლეში, ჩვენგან მონებით ნამსახური, სანატრელი მეფე თეიმურაზ კენესით და ცრემლით მოიხსენოთ. ამა მივიდეთ იმისის ბრწყინვალის მეფობის ერთგულებით ნამსახურნი შეილნი, და იმისი მართალი მეფობა განვაცადოთ, რა მშვიდი, რა მართალი, რა მორწმუნე, რა ტკბილი, რა რა ღვთის-მოყვარე! ვაი ვაი, ვაი, რა ესტევა? რა მერმე ბოლოს საქართველოსათვის როგორ თავ დიდებული, უცხოს ქვეყანას უცხოს მწირობაში,

უცხოებაში მიცვალბული?! ჩვენ მისთა მონათაგან დაუტრიალი, ჩვენგან ცრემლ დაუყრელი, გამოუსალმებელი, იმისის ტკბილისა და ბრწყინვალის ხმის გაუგონარი! ვაი ჩვენ, ვაი! იმისი მართალი მეფობა, იმისი ცრემლი და ქრისტეს წინაშე ევდრება მაინც რალამ დაადუმბა, რამ მირიდა, და რამ უკუაბრუნა, საყვარელნო! ხომ ესენი ყველას ჭეშმარიტებით გახსოვს, რაც მოგახსენებ? იმ დიდებულს ადგილს მრცვალეების ჟამს, ღვთის-მშობლის ხატი საღმე მინსვენებინა და შესტირა, დილ წმადისა, და მართლის ცრემლითა, რომ მე ხომ გამოვესალმე ეს არის იმ ქვეყანასო, იმათის სიყვარულისათვის თავი დავსდგო; რომ ეს დიდებული ხელმწიფე შეეწიოს, და მტერი დაუმდაბლოს: მაგრამ ახლა ჩემს სულსაც ვავედრებო და ჩემი ერეკლეც შენთვის მომიბარებიაო! იმ საქართველოს ერს შენი წილ-ხლომილობა გაუახლო და ჩემი შვილი, და ის ქვეყანა გამოიხსენო იმდენის შეწუხებისაგანაო! ჰოოოო, მართალია შენის თეიმურაზის ცრემლი, და ჩვენის ქვეყნის მტერთ შეწუხებისაგან გამოხსნისათვის ევდრება! ახლა ამასაც დაუტყეებ, და ახლა ჩვენ სამღვდელოდ დასთა, ერთობით წმიდას საკურთხეველსა და ტრაპეზს წინაშე ქრისტეს მემსხერბლეთ, შენწირველთ, შლოცველთ და მევედრებელთ თავსა და პირში ცემით ვივალალებ, და ვიტირებ; და ვიხივლებ, რომელნიც ემოდღებრებთ და ვიქადით ცოდვთა მიტევებასა, შენდობასა, კურნებასა სნეულთო სიპრთელესა, ეშმაკთა განსხმასა, და ხილულთა და უხილავთა მტერთა განდენასა! აბა ესენი სადარის, ვისთანარის, ვისგან არის, და როდისლა იქნება, და როდისლა უნდა შეგვეწიოს, თუ არ ამისთანას შეწუხების დროს, თუ არ ამისთანა და ასრე მტერთაგან გათავების ჟამსა?! აბა ახლა ჩვენის თავის გამართლების სიტყვა აღარა გვაქვს-რა, საყვარელნო! აღვდგეთ ყველანი და წმიდათ ეკლესიათა, და წმიდათ ხატთა და ჯვართა ყველამ მუხლი მოუთრიოთ, და თავი მიწაზედ დაესდეთ! ახლა კი აღარა გვაქვს-რა სიტყვა, ახლა ველარათი გავიმართლებთ თავსა! წმიდანო ხატნო! წმიდანო ჯვარნო! წმიდანო ნაწილნო! წმიდანო ეკლესიანო! დიდებულნო მთავარ-მოწამენო გიორგი! სადახარ, ძლიერო მხედარო? საქართველოში ხომ სასწაულით შენ ხმა განსმენილი მხედარი ხარ, და სნეულთ-მკურნალი, და მრავალთ-ტყვეთა მხსნელი, და სად არის თუ გვიშველი რასმე, ქრისტეს მხედარო

გიორგი?! წმიდაო დიდებულო, მერკვირი, შენც ხომ ქრისტეს მტრის უსჯულოს იელიანეს მომკლელი მხედარი ხარ, შენც დიდის ვასილის ევდრებაზედ კესარიის კაბაღუკის გამომხსნელი ხარ, ეს უსჯულო რომ ექალოდა, გამოვიელი და ცხოვდნთ ქრისტიანეთ შეგმუსრაო, არ კი შენ შეგმუსრე ეს უსჯულო და ევოდენნი ქრისტიანენი გამოიხსენ, და აბა სადარის, თუ გვიშველი რასმე, დიდებულო მხედარო? აი ახალი იელიანე, შენს მოსავეს ქრისტიანებს თავს გვიქნევს. შენს წმიდას სახესაც ეწუქარება, ეკლესიებსაც ემუქარება, რაც კიდევ დამჩხა, მივალო და სრულად აღმოვეხებო, დავაქცეო, დავარღვევო, ქრისტიანობას საქართველოში სულ ავხოცო, ბატონებს წაფართმეო, თავადებს დაუმდაბლებო, ცოლსა და შვილებს დაუტყვევებო, მამასა და შვილს განეშორებო, დასა და ძმას განმოვესალმებო, ევოდენს ქერიცა და ობოლს ავტირებო, იმათს მდვდლებსა და ებისკოპოსთ ხმალს ქვეშ მოვსკაო. ვაი, ვაი! გვიღონეთ რამე, წმიდანო, გვიშველეთ რამ დიდებულნო! განიღვიძე, ღვთის-მშობელი მარიამ; მოვალთ შენთან, შენს წმიდას ხატს მუხლს მოუთრევთ, თავს ესე მიწაზედ დაეხლით, პირს ესრე მიწაზედ მოვათრევთ, ამდენს შემოგტარებთ, ამდენ დავიკენებთ, აამდენს დავიბლავლებთ, რომ გვიშველო რამ, და ჩვენს სანატრელს მეფესა, დაჩვენს ჯარს შეეწიო და შეგვიწყალო! თვით ჩვენნივე სყინილისი გვახილვებს, რომ ცოდვილნი ვართ, და ჩვენც ამას გვედრებით, რომ, დღეს ჩვენს ევოდენს შეცოდებას ნულარ მოიგონებ, ჩვენის ცოდვის პასუხს ნუ გვიზამ შენის მგობებისათვის, შენის დედობრივისა მოწყალებისათვის, შენის საყვარელის ძის იესოს სიყვარულისათვის! მტირალი დედა, მგლოვარე დედა ჯვარკმულს იესოს რომ შეჰკენსოდი, იმისის უედაცის სისხლის სიყვარულსათვის, შენის ტკბილის ცრემლის მეოხებისათვის, ამდენის ხატთა და ეკლესიით მეოხებისათვის, მე ხომ ერთი ცოდვილი მიწა და მტვერი და ებისკოპოსობის უღირსი მწყემსი ვარ, მაგრამ ამდენი ცრი რომ გვედრება, მე რა ვიცი ღვთის დედავ? სამღვდელონი შემოგტირიან, მოხუცებულნი და ყრმანი შემოგკენესიან, ქერიენი და ობოლნი გვედრებიან, გული ჩვენი ესრეთ მტკინეულ-არს, სული ჩვენი ესრეთ დაქმნილ-არს, სიცოცხლისა ჩვენისა ფურცელი და მოცივინებულ-არს, სიხარულისა ჩვენისი ხარო მოკვეთილ არს,

ქვეყანისა ჩენისა შეწიერება, და კეთა-
 ნაყოფიერება დაქნობილ-არს; სიმაღლე და ძლიერება
 ჩენი დამდაბლებულ-არს, სიგლახაკითა და უძლიერ-
 რებითა ჩენითა მეფენი უსჯულანი და უწყალანი
 აღძრულ-არიან ჩენ ზედა, და ბოროტნი მთავარნი
 და მხედარნი მათნი ერსა შენსა ზედა ასაოხრებლად
 შეთქმულან; ხმობენ და გვექადან უღმთონი იგი
 პირნი მათნი «სად არსო ღმერთი იგი მათი? მოვე-
 დითო და დავადაბლნეთო ყოველნი დღესასწაულნი
 მათნი, მოვედით და დავადუმეთო ყოველნი
 სავედრებელნი ხვანი მათნი, მოვედითო და შევმუ-
 რათ, და დავსცეთო ყოველნი დიდებანი მათნი;
 მოვედითო და დავაშხნეთო, და სრულად აღვიხვ-
 ნეთო ქრისტეანობა მათი? მოვედით და აღვხატნეთო
 ყოველნი სიწმიდენი მათნი!» იგინი ესრეთ გვექადან,
 უწყალანი იგი. იგინი ესრეთ გემძლავრობენ უსჯუ-
 ლანი იგი, და ჩვენ შეშინებულნი, და შეძრწუნე-
 ბულნი გლახაკ და დავარდობილ-ვართ სიმდაბლთა
 ჩენითა! იგინი ესრეთ უწყალოდ კადნიერ ქმნილან
 ერსა ამას შენსა ზედა, და სული და გული ჩენი
 შემფოთებულ-არს, და ხელი და ფერხი ჩენი
 აღთრთოლებულ-არს, და თვალნი და სასმენელნი
 ჩენნი დამსლობარ-არს, და ნაკად ნაკადთა ცრემლთა
 გამოადინებენ; და თვინიერ შენსა აჩავენ არს შემეფე
 და ნუგეშინის-მცემელ ჩენდა, «და არა არს
 ნუგეშინის-ცემა საღმობასა სიონისასა. არა ხედავა,
 რამეთუ სიწმიდე ჩენი მოახრებულ-აქმნა. არა
 განიციდით ღვთის-მშობელი, რამეთუ საკუთხვეელი
 ჩენი, და ტაძარნი ჩენნი აღხოცულ და დარღვეულ
 იქმნა? არა გესმისა, რამეთუ ფსალმუნნი ჩენნი, და
 გალობანი ჩენნი დაყენებულ და დაღუპულ-აქმნა?
 არა ღმობიერ ხარ, რამეთუ სხარული ჩენი
 შემუსერილ არს, და სანთელი გულისა ჩენისა
 დაშრეტილ-არს? არა ტკივეულ-ხარ, რამეთუ კიდო-
 ბანი აღთქმისა ჩენისა წარტაცებულ-არს, და წმიდანი
 ჩენნი შეკინებულ-იქმნენ. არა გელმისა, რამეთუ
 შეილნი ჩენნი ყვედრებასა მართმენენ, და მამანი,
 ჩვენ ვითარცა სანთელნი მბღვინვარენი, დავშრე-
 ტილ-ვართ! არა გეწყალავითა, რამეთუ ერნი შენი,
 ჭაბუკნი და ქალწულნი ყრმათათნა ტყვეობასა
 მიეცნენ და დედანთა ჩვენთათვის, ვითარცა რახელისა
 საგოდებელნი ხმანი, ვიდრე ცათამდელწყენულ არიან?
 ვაი ჩენდა, ვაი ჩენდა რომელ ლოცვა და ვერება
 ჩენი, საყვედრელად ჩენდა და ცოდვად შერაცხილ-

არს! სატყვისა-ებრ დავითისა «და არა არს ღმინება
 ხორცთა და ძვალთა ჩენთა, თვინიერ მოწყალებისა
 შენისა, და ღმერთ-მამაკაცისა ძისა შენისა». ამისთვის,
 მოგვხედენ, დედოფალა ღვთის-მშობელი, მოწყა-
 ლებითა შენითა, და შეისმინე ხვა ერსა ამას შენსა,
 შეიწრებულისა, და მოვეც ძლივეა მეფესა ჩენსა
 ირაკლის, და შეეწიე, და შენის მხოლოდ-შობილის-
 ძის ძალი მიაშველე იმის მხედრობასა! უბანე
 დიდებულსა დიდსა და ძლიერსა მხედართ-მთავარსა
 ზეცასასა მიხაილს, რომ მიეშველ-არს ჩენს სანატრელსა
 მეფესა და იმს მხედრობასა, და იმათი მტერი და
 მებრძოლი დასცეს და შემუსროს, ვითარცა მასრა
 ბანაკი იგი ძლიერი ძალი ასურსტანელთა მათ!
 ვერკეთე მიუვლინე რისხვა შენი, ჩვენზედ ასაოხ-
 რებლად აღძრულთა მათ უსჯულთა მტერთა
 ჩენთა განმარხებულთა შენთა; უფალო, შაკინე-
 ბელთა შენთა, უფალო, შეურაცხის-მყოველთა
 შენთა, უფალო, დამარღვეველთა სახლის შენისათა:
 უფალო, შეშინეწყველთა და არა წმიდათა ფერხითა
 მათითა დამართგუნველთა წმიდისა ხატისა და ჯვარისა
 შენისათა; უფალო, ნუ აუფულბ მათ ჩვენ ზედა!
 უფალო, გვაკპარე ესოდენი, და ამდენის ხნის
 ქართლისა და კახეთასა ესოდენი შეწუხება! ესოდენი
 აოხრება, ესოდენი ტყვეობა, ესოდენი საკვდლი,
 ესოდენი დაზავება და შერაცხენა მათ უსჯულთა-
 გან! უფალო, ნუ ათქმეიერებ მათ უსჯულთა,
 ბილწთა პირთა მათთა «სადა არს ღმერთი იგი
 მათიო, თუ უშველას რასმეო. უფალო, ნუ აქადებ
 ბილწთა მათ ხმათა მათთა, რომ ხმა მადლადიხანიან,
 აი მახვადის ხელი ამადლდაო, და ქრისტეანობა კა
 დამდაბლდაო! მართალია ჩენის დაცემით ქრისტეა-
 ნობა კი არ დამდაბლდება, მაგრამ ჩვენც ერთი
 მცირენი მონანი ვართ შენნი, თაყვანის-მცემელონი,
 შენნი მორწმუნენი ვართ, და ნუ გავგვარავ შენის
 მოწყალებისათვის; ნუ მიპყრე ჩვენ სრულიად სახელისა
 შენისათვის წმიდისა, ჩვენ ერის სიხარულის ხვით
 გვათქმეინე, რომ ვექადოდეთ და ვატყოდეთ: ჩვენთანა
 არს ღმერთი, ჩვენთანა არს ღმერთი, სცანთ წარპათთა და
 იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი! ჩვენც ერთი
 სიხარულის ხმა გავგვარავ და გვახმინე, რომ ჩვენს
 ჯარს გაუპარჯენიაო, და უსჯულანი მტერნი,
 დაცემულნი და დამდაბლებულნი, გაქცეულანო!
 შეისმინე ჩვენ ცოდვილთა ამათ ვედრება და ესე
 ვითარის მოწყალებით მოგვხედენ, რათა მადლობით
 და თაყვანის კემით ვადიდებდეთ სახელსა შენსა,
 აწ და საუკუნეთა, უკუნისამდე ამინ.



სახალხო საკითხავი მოთხოვნა დაბადებულან

(ბიბლიიდან)

იოსებ მშვენიერა.

(გაგრძელება *)

გავიდა ორი წელიწადი. მცლეინეს დააეწყდა იოსები. იოსები კი საპყრობილეში იტანჯებოდა. ამ დროს ფარაონმა ნახა არა ჩვეულებრივი სიზმრები. მას მოესიზმრა, ერთომც მდინარის პირად იდგა; მდინარედამ გამოვიდა შეიდი ძლიერ ესუქანი ძროხა, რომლებმაც წყლის პირას ძოვნა იწყეს. მათ შემდეგ იმავე მდინარედან გამოვიდა შეიდი ძლიერ გამხდარი ძროხები და მსუქან ძროხებთან დაიწყეს ძოვნა. მალე

ვანი თაველი და მათ შემდეგ მეორე ძირიდან აღმოცენდა კიდევ შეიდი, მაგრამ ძლიერ ხმელი და უმარცვლო თავლები. უმარცვლო თავლებმა იქვე გადაჰყლავს კარგ მარცვლიანი თავლები, მაგრამ ისევ უმარცვლონი დარჩნენ. ამ სიზმრებმა ძლიერ აღაშფოთა ფარაონი. დღით მან ბრძანა მოეწვიათ ბრძენნი და სიზმრის ამხსნელნი, რომელთაც უანბო ნახული სიზმრები. მაგრამ ევრაეინ ევრ შესდლო ფარაონის სიზმრების ახსნა. მაშინ მცლეინეს მოაგონდა იოსები და მოახსენა მცფეს: მაჰატივე, ხელმწიფეე! მე ახლა მომაგონდა ერთი ჩემი დამნაშაობა. როცა თქვენ მე და მეპურეს განგვირისხდით, ჩვენ საპყრობილეში ჩაგვაგდეს. ერთ დღეს იქ ორთავემ ვნახეთ სიზმარი. ჩვენთან ერთად საპყრობილეში იმყოფებოდა ერთი ახლავაზა ებრაელი. მან აგვისხნა ჩვენი სიზმრების მნიშვნელობა და ყველა მისი ნათქვამი



გამხდარმა ძროხებმა გადაჰყლავს მსუქანი ძროხები, მაგრამ ამით ისინი არ გაუკეთესდნენ, ისევ გამხდარები დარჩნენ. ფარაონს გამოეღვიძა. შემდეგ ისევ დაიძინა და ხელ-ახალი სიზმარი ნახა: ერთომც პურის ერთი ძირისაგან აღმოცენდა შეიდი კარგ-მარცვლო-

ნამდვილ ასრულდა. ფარაონმა იხეზა იმ საათშივე მოეყვანათ იოსები. მეფის მოსამსახურეებმა საჩქაროდ მოსძებნეს საპყრობილეში იოსები, შეჰკვეცეს მას თმა, ჩააცვეს ახალი ტანისამოსი და წარუდგინეს მეფეს. ფარაონმა სთქვა: მე ვნახე სიზმარი, რომელიც ევრაეინ ევრ ამიხსნა. ამბობენ, რომ შენ

*) იხ. «მწვემის» № 18, 1894 წ.

გკოდნია სიზმრის კარგად ახსნა. შემდეგ ფარაონმა უამბო იოსებს თავისი სიზმრები. იოსებმა მოუსმინა ფარაონს და შემდეგ მოახსენა: ხელმწიფე! ორივე სიზმარს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, შეიძლება და შეიძლება თაველი ნიშნავს შეიღ წელიწადს. მსუქანი ძროხა და შეიღი მარცვლიანი თავლები ნიშნავენ ნაყოფიერს და მოსავლიან წლებს; შეიღი გამხდარი ძროხა და უმარცვლო თავლები მოასწავებენ შიმშილობას და უნაყოფო წლებს. აი დადგება კადეც ეგვიპტეში შეიღი მოსავლიანი წელიწადი. მას მ.ა. ყევა შეიღი უნაყოფო წელიწადი. შიმშილი ძლიერ სამძიმო და ხალხის მაზარალებელი იქმნება და რომ შენ, მეფე, ერთი და იგივე სიზმარი ორჯერ ნახე, ეს იმას ნიშნავს, რომ მღვთის ნება უსათუოდ ასრულდება ამ მოკლე დროში. ეხლა, მეფე, გამოიჩინე გონიერი და ბრძენი კაცი და დააყენე იგი მთელი ეგვიპტის უფროსად. მან დანიშნოს მთელ ეგვიპტეში ზედამხედველები და უბრძანოს შეკრიბონ მოსავლიან წლებში მესუთედი ნაწილი მთელი ეგვიპტის მოსავლისა. შეკრიბონ მათ პური და გაუფრთხილდნენ მას; ამ შეკრებილი პურით უნდა ისაზრდოვოს ეგვიპტის მცხოვრებმა უმოუსავლო წლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი შიმშილით ამოიხრცებიან.

ყოველი ესე მოეწონა ფარაონს. მან უბრძანა თავს მოსამსახურებს: განა შეგვიძლია, მოენახოთ ჩვენ სხვა ვინმე პირი, უკეთესი იოსებზე? და აქვე რქვა იოსებს: რადგან ყველაფერი ეს შენ ღმერთმა გაუწყა, ამისთვის შენზე უფრო გონიერი და ბრძენი კაცი სხვა არაინ უნდა იყოს. მე დაგაყენებ შენ მთელი ეგვიპტის და ჩემი სასახლის უფროსად; შენ სიტყვას ჩემი ხალხი არ გადაუხვევს; შენ და უნებურად ხელს არაინ გაანძრევს და ფეხს ვერაინ გადაადგამს, მხოლოდ მე მარტო ტანტით ვიქნები შენზე მაღლა. აქვე მეფემ წაიძრო ხელიდამ ბეჭედი და წამოაცვა ხელზედ იოსებსა, შემოსა იგი მდიდრულად, ჩაჰმოკრა მას ოქროს ძეწკვი; შერთო მას ერთი დიდებული კარის კაცის ქალი და უბრძანა ეტარებინათ იგი სამეფო ეტლით და ხვა-მაღლა გამოეცხადებინათ ყველასთვის, რომ იოსებისათვის თაყვანი ეცათ. იოსები ამ დროს ოც-და-ათი წლისა იყო.

ამის შემდეგ იოსებმა დაუყოვნებლივ შამოიარა მთელი ეგვიპტე, დააყენა ყველგან ზედამხედველები და

უბრძანა შეეგროვებინათ პური მოსავლიან წლებში. პური შეჰქონდათ ქალაქებში, სადაც იგი ინახებოდა საკუთრად აგებულ ბეღლებში. შეიღი წლის განმავლობაში იოსებმა მოაგროვა მრავალი პური, ასე რომ ანგარიშსაც თავი დაანებეს, რადგან ანგარიში ვეღარ შესძლეს.

როგორც იოსებმა წინასწარ სთქვა, გავიდა შეიღი მოსავლიანი წელიწადი; დადგა შეიღი უმოსავლო წელიწადი, ჩამოვარდა საშინელი შიმშილობა არა მარტო ეგვიპტეში, არამედ ახლო მახლო ქვეყნებშიც. ხალხი სტიროდა პურისთვის. იოსებმა გააღო ბეღლები და დაუწყა აღწევე მოგროვილ პურს გაყიდვა. ახლო მახლო ქვეყნებიდამ მოდიოდნენ იოსებთან ეგვიპტეში პურის სასყიდლად.

შიშშილმა თავი იჩინა ქანანის ქვეყანაშიც, სადაც იოსების მამა და ძმები სცხოვრებდნენ. იაკობმა გაიგო, რომ ეგვიპტეში პურს ჰყიდდნენ და უთხრა თავის შვილებს: რაღას უყურებთ? წადით ეგვიპტეში პურის სასყიდლად, თორემ ყველანი შიმშილით დაეიხრცებით. იაკობის ათი უმფროსი შეიღი გაემგზავრენ ეგვიპტეში პურის სასყიდლად. ყველაზედ უმცროსი შეიღი იაკობისა, იოსების ტანის ძმა ბენიამენი კი შინ დარჩა; იაკობმა არ ვაუშვა იგი; ის ფაქრობდა: ვაი თუ გზაში რამე უბედურება შეემთხვესო.

ბივიდნენ თუ არა იაკობის შვილები ეგვიპტეში, მაშინვე იოსებს გამოეცხადნენ, როგორც მთელი ეგვიპტის უმფროსს და მოგროვილი პურის მმართველს. ძმები მივიდნენ და თაყვანი სცეს იოსებს მიწამდის. იოსებმა მაშინვე იცნო თავისი ძმები, მაგრამ მათ სხვა სახე უჩვენა და გულ-მოსულად დაუწყა ლაპარაკი.—საიღამ მოსულხართ? ჰკითხა მან.—ქანანის ქვეყნიდამ მოველით პურის სასყიდლად, უპასუბეს ძმებმა და იოსები სრულებით ვერ იცნეს. იოსებს მოაგონდა თავისი უწინდელი სიზმრები და უთხრა ძმებსა:—თქვენ მზევრავები უნდა იყოთ; თქვენ ალბათ მოხვედით ეგვიპტის დასაზვერადად.—არა, უფალო ჩვენო, მიუგეს ძმებმა, ჩვენ, შენი მონანი, პატიოსანი ხალხნი ვართ, მზევრავებად არასოდეს არ ვყოფილვართ. ჩვენ ერთი ქანანეელი კაცის შვილნი ვართ. ჩვენ ყველანი თორმეტი ძმანი ვიყავით; ერთი ჩვენგანი, დიდი ხანია, მოჰკედა და ერთიც სულ უმცროსი შინ მამასთან დარჩა. ამაზედ იოსებმა უთხრა: გეფიცებით, რომ აქედამ ვერ წახვალთ, ვიდრემდის სულ უმცროს ძმას არ მოიყვანთ. ერთი


თქვენგანი უკანვე წავიდეს და მოიყვანოს იგი, და-
ნარჩენი კი აქ იქნება დაკავებული. ვნახოთ,
მართალს ლაპარაკობთ, თუ არა; თუ არა და მწვე-
რავები ყოფილხართ. სთქვა თუ არა იოსებმა ეს,
ძმები დააპატიმრა.

მესამე დღეს იოსებმა ხელ-ახლად უთხრა ძმებსა:
აი რა ქენით, თუ გინდათ ცოცხალი დარჩეთ: ერთი
თქვენთაგანი აქ დარჩეს და სხვანი კი წადით და
მიუტანეთ ჰური თქვენს ოჯახობას. მერე მოიყვანეთ
თქვენი უმცროსი ძმა, რომ დავრწმუნდეთ, თუ თქვენ
მართალს ლაპარაკობთ. როდესაც დავრწმუნდები,
რომ თქვენ მწვერავები კი არა პატიოსანი ხალხი
ხართ, მაშინვე გაგატანთ თქვენ აქ დარჩენილ
ძმასაც და ნებას მოგცემთ ეგვიპტეში ეპრობისას.
მაშინ ძმებმა დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი, იგინი
ფიქრობდნენ, რომ იოსები მათ ლაპარაკს ვერ გაი-
გებდა: ჩვენ ეხლა ძმის გაყიდვისათვის ვიტანჯებით;
ჩვენ ვხედავდით მის წვალებას, იგი გვევედრებოდა
ჩვენ, მაგრამ არ შევიბრალებთ: აი ამისთვის ეხლა
ჩვენ უბედურება მოგვევლინა! ამ დროს რუბინმა
სთქვა; ხომ გეუბნებოდით, ძმის ცოდვას ნუ დაი-
დებთ-ქო? თქვენ არ გამიგონეთ და აი ეხლა მისი
სიხლი გეტანჯავს ჩვენ! იოსებმა ყოველივე ეს მო-
ცხინა, ძმებს გაშორდა და დაიწყო ტირილი; მერმე
ისევ მობრუნდა, ბრძანა, რომ სიმონი მასთან დარ-
ჩენილიყო, დანარჩენი ძმები კი გაუშვა. იოსების
ბრძანებისამებრ, მოსამსახურებმა გააესეს ტომრები
ჰურიტ და ჰურისთვის მოტანილი ვერცხლიც შიგ
ჩატანეს. ძმებმა აჰკიდეს ტომრები ვერცხს და გა-
ემგზავრნენ შინისაკენ. გზაზედ ერთმა ძმათაგანმა,
ვირისთვის საკვების მისაცემათ, თავი მოხსნა თავის
ტომარას, მან ტომარში ვერცხლი ნახა და ეს ამბავი
თავის ძმებს უამბო. იგინი ძლიერ შემფოთდნენ
და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ეს რა მოგვაეღინა
ღმერთმა?

მიადწიეს თუ არა შინ, შეიღებმა იაკობს
უამბეს ყველაფერი თავისი თავ-გადასაყალი: თუ
როგორ ცუდათ მიიღეს იგინი ეგვიპტეში, როგორ
უნდოდათ მათი შეპყრობა, როგორც მწვერავებისა,
მერე როგორ შეიბრალებს და სიმონის მეტი ყველა

გამოუშვეს იმ პირობით, რომ შემდეგისათვის უსათუოდ
ბენიამენიც წაეყვანათ. ამის შემდეგ ძმებმა გასცალეს
ტომრები და მათგან ჰურის სასყიდლად წაღებულ
ვერცხლი ისევ ტომრებში ნახეს; ამ ამბავმა ძლიერ
შეაშინა, როგორც შეიღები, აგრეთვე მამაცა.
იაკობმა სთქვა: თქვენ შემომაცალეთ შეიღები:
იოსები აღარ მყავს, აღარც სიმონი და ეხლა ბენი-
ამენის წაყვანას აპირებთ,—აი ეს ყველაფერი ჩემს
თავს არისო! ვერ გამოუშვებ თქვენთან ბენიამენს,
ეს რა დამრჩენია და ამასაც. რომ რამე უბედურება
შემემთხვეს, უღრმოვით საფლავში ჩამაგდებთო.

(შემდეგი იქნება)



აღიღე ჯვარნი, რომელიც მოგცა შენ ღმერთმა.

ხშირად მსმენია კაცთაგან ყველრება ღვთისადმი:
რა მიზეზია, რომ დალოცვილი ღმერთი ზოგიერთს
ადამიანს ყოველისფრით კმაყოფილსა ჰყოფს—ამიღ-
რებს, აკეთებს და ზოგს კი მიმშლით სულსა ხდისო“. ამის
პასუხად მე ვიამბობ, ჩემო საყვარელო მამე-
ნელო, ერთს ძველს მოთხრობას, რომლიდანაც
სცნობ, რომ ყოველი კაცი უნდა იყოს კმაყოფილი
თავის ბედისა და არ აყვედრიდეს ღმერთსა, რადგან
მან მხოლოდმან უკეთ უწყის, ვის რა მიაგოს.

იყო ერთი სულ-მოკლე გლეხი კაცი, რომელც
ცხოვრებდა თავისი შრომით,—მაგრამ იგი ღარიბათ,
რომ ძლიერ გაჭირვებით ასაზრდოებდა ცოლ-შვილსა.
ერთხელ ის წავიდა ზღვის პირად, ჩამოჯდა ქვაზე და
ნიდაყვ დაბჯენილი გასცქერა და ძვირუასი საქონ-
ლით დატვირთულ მომცურავ გემებსა, რომლებ-
საც სცილიდნ ზღვის პირზე და მიჰქანდათ ქალაქე-
ში გასასყიდათ. გლეხ კაცს გულში ბოროტუა ფიქრმა
გაუარა და სთქვა: «შე დალოცელო ღმერთო,
სხვებისათვის ამდენი სიძლიარე მიგიცია და მე კი

ლუკმა პურის მოპოვებაც მიჭირს, რა იქნება მეც მომხედო წყალობის თვლით და გამიუმჯობესო ტანჯული ცხოვრებაო!» შუადღისას მზის ლული იდგა. ფიქრებში გართულ გლეხს თელემადაწყებისა და დაეძინა. ძილში მან ნახა, ვითომც იგი სდგას ერთ მაღალ მთის ქვეშ; მიღის მასთან ერთი პატროსანი თეთრ-წვერა მოხუცი და ეუბნება: «ჰოი, კაცო, ადრე და გამომეყე მე!» გლეხი კაცი მიჰყვება მოხუცს. კაი ხნის მსვლელობის შემდეგ ისინი მივიდნენ ერთ ალაგს, სადაც ეწყო უანგარიშო რიცხვი ჯვრებისა: ოქროისა, ვერცხლისა, სპილენძისა, რკინისა, ქვისა და ხისა. «ხედავ ამ ჯვრებსა? ჰკითხნა მოხუცმა გლეხსა. «ამოიჩინე, რომელიც გინდა და აიტანე იმ მთაზე, რომლის ქვეშეც შენ გეძინაო». გლეხმა ჯვრებს თვალი გადააფლო, ამოიჩინა ერთი ღიდი მხესავით ბრწყინვალე ოქროს ჯვარი, წაატანა ხელი, მაგრამ ვერ დასძრა ადგილიდან. «არა, უთხრა მოხუცმა: «გეტყობა—ვერ ძალგძის ალება მაგ ჯვრისა. აილე მეორე—ვერცხლისა, ვინძლო მოერიო». თუმცა ეს მეორე ჯვარი უფრო მსუბუქი იყო პირველზე, მაგრამ, ვერც ამას მოერიო გლეხი კაცი. ასევე დაემართა სპილენძის, რკინის და ქვის ჯვრების ალებაზედაც. ბოლოს უბრძანა მოხუცმა გლეხსა აელო ერთი რომელიმე ხის ჯვართაგანი. გლეხმა აილო ერთი მორჩილი ხის ჯვარი და მზატეთ აიტანა ნაჩვენებ მთაზე.

— რით მაჯილდოვებ ამ ჯვრის მთაზე ატანისათვის? ჰკითხა გლეხმა მოხუცსა.

— მე დაგაჯილდოვებ შენ მით, რომ აგისხნი მნიშვნელობას ამა ჯვრისასო, უთხრა მოხუცმა და მოჰყვა: «ოქროს ჯვარი, რომელიც შენ ეგრე ძლიერ მოგეწონა და წაატანე ხელი, არის ჯვარი მეფისა. შენ ჰფიქრობ გუნებაში: «რა კარგი და ადვილი ხელობაა მეფობაო! მაგრამ იმას კი აღარ ჰფიქრობ, თუ რა ძნელია ხელობა მეფისა და რა ზომ მძიმეა მისი ჯვარი. აი როგორ მოსვენებით გეძინა— ზღვის პირად! შენ არ გაწუხებდა არაერთარი დარდი და ვარამი, ჰფიქრობდი მხოლოდ დღიურ საზრდოის მოპოვებაზე, რომელსაც ცოტად თუ ბევრად კიდევაც ჰპოულობ. მაგრამ სულ სხვაა დარდი და ვარამი

მეფისა. მას აქვს მინიჭებული ღეთისაგან სამეფო, რომელზედაც უნდა ზრუნვიდეს იგი. დილდან საღამომდის უნდა იყოს გართული სამართველო საქმეებში, სტდილობდეს მამულის დაცვას მტერთაგან, სცემდეს კანონთა და თვალ-ყურს ადენილეს მათ მტკიცედ აღსრულებას და სხვ. აი შეილო, ასე ძნელია მეფის ხელობა და მატომაც ვერ მოერიე მის ჯვარსა. ჯვარი ვერცხლისა არაა მწყემსთა ეპკლესიისა და დაახლოებულთა მსახურთა მეფისათა: ვეზირთა და მრჩეველთა მისთა, რომელნიც ეხმარებიან მეფესა სამეფოს მართვაში...

ჯვარი სპილენძისა ეკუთვნის მათ, ვისთვისაც ღმერთს მიუტია სიმდიდრე. შენ გშერს მათთვის სიმდიდრე და ამპობ გუნებაში: ოჰ, რა ბედნიერი არიანო, მაგრამ არ არის საშურველი მათი ცხოვრება. მართალია, ისინი თავის თავად არ მუშაობენ და ყოველისფერი საკმაოდ აქვთ, მაგრამ მაგიერად მათ მტერიც ბევრი ჰყავთ და მოშურნეც. შრომის შემდეგ შენ შეგიძლია მოსვენებით დაძინო. იცი, რომ ხელს არაფერ ახლებს არც შენს საწყალ ქონს და არც შენს მცირე ქონებას. მდიდარი კაცი კი მარად შიშსა და ფიქრშია: ან არაფერ მოატყუოს, ან არაფერ გაჰქურდოს და ან არაფერ გარდასწყვას. ჯვარი რკინისა არის ჯვარი მხედართა. ამა ჰკითხეთ მათ, რომელნიც ყოფილან ომში და ისინი გიამბობენ შენ; თუ რამდენ ჯერ შეხვედრიათ მათ ლამის თვეა ღია ცაწმიდა ქვეშნოტიო მიწაზე: სიცივე, სიმშობილი და სხვა ბევრი ამ ჯვარი გაჭირვება. ამას გარდა ხშირად თავისი სიცოცხლის საუკუნოდ შეწირავც მეფის, მამულის და სარწმუნოების გულისათვის. ჯვარი ქვისა არის ჯვარი მოვაჭრეთა. შენ ძლიერ მოგწონს მათი ცხოვრება და გენატრება, შენც მათსავით იყო: მაგრამ არც მათი ცხოვრებაა სანატრელი. არ გაგიგონია, რომ ზღვის იქით მიმავალს რამდენიმე ათასის და ათი ათასის მანეთის საღირალი საქონელი ეყიდოს, გემები დაეტვირთოს და უკან მომავალი მთელი მისი ნაევარი ქონება ზღვის ტალღებს დაედუბოს და შინ გატლევკიდ გალატაკებული მისულიყოს? არა, საშურველი არ არის მათი ქონება და მათი ჯვარი და არც თუ ყველას ძალუძს ალება და

ზიდვა მისი. განსაკუთრებით ძნელია ადგება ამა ჯერისა პატიოსან კაცთაგან. შენ, მაწის მუშაკს არა გაქვს შემთხვევა არც სიცოცხლისა, არც ქურდობისა, არც მოტყუებისა და არც ამაო ფიცისა. ვაჭარი კაცი კი ვერ ასცდება ამაებს. ტყვილა კი არ არის ნათქვამი საღმრთო წერილში: «ძნელ იხსნეს ვაჭარი ცოდვისაგან და არა გამართლდეს ღვინის მოფარდული ცოდვისაგან» (ისო ზირაქ. 26—27) შორის შეკრებათა ლოდისასა შეეხოს მონა და შორის გამსყიდველისა და მომსყიდველისა აღესრულოს ცოდვა. (ზირაქ. 27—2). ის ხის ჯვარი, რომელიც შენ აიღე და აიტანე მთაზე, არის ნამდვილი შენი ჯვარი. შენი ხელობა-მიწის მუშაობა უცოდველი ხელობა არის. რომ ყოფილიყავ მდიდარი, დაივიწყებდი ღმერთსა, თუ ყოფილიყავ დიდებული, შეაწუხებდი სხვასა, ვაჭარი რომ ყოფილიყავი, ღიატყუებდი ყოველთა და რომ მხედარი ყოფილიყავ, ვერ აიტანდი სამხედრო ბეგრის ტანჯვა-წვალბებსა და აყვედრიდი ღმერთსა. გულთა მხილავმა უფალმა კარგად იცოდა, რომ შენ ყოველგვარ სხვა ხელობაში, გარდა მიწის მუშაობისა, დაღუპავდი შენს სულსა და ამისათვის მოგცა თვით მდაბალი და მსუბუქი ჯვარი—ჯვარი ხისა. წარყედი მშვიდობით, იყავ კმაყოფილი თავის ბედისა და ნულარ აყვედრი ღმერთსა შენის მდგომარეობისათვის». მოხუცის უკანასკნელს სიტყვებზე გლენს გამოვდიხა; შესწირა მადლობა ღმერთსა კეთილი სიზმრისათვის და ამიერ ქამდგან იყო კმაყოფილი თავის ბედისა.

აი, ძმანო, გაკვეთილი ჩვენგანისათვის. ვიყენეთ ჩვენცა კმაყოფილნი ჩვენის ბედისა. ჩვენ ყოველნი უყვარვართ ღმერთსა, ვითარცა ძენი და გვაძლევს ჩვენ თავის მოწყალებას ისე, როგორც ვის რა მოგვიხდება. მაშასადამე, ნურასოდეს ნუ ვიქმნებით მაყვედრებელნი მისნი. რაც უნდა მოგვეცეს ჩვენ ღმერთმა: ბედნიერება თუ უბედურება, სიმდიდრე თუ სიღარიბე, ავთმყოფობა თუ კარგათ მყოფობა, ყოველთვის და ყოველისათვის ვმადლობდეთ, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ სახელსა მისსა და ვიტყვოდეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, შენ უკეთ უწყი ყოველივე და ამისათვის იყოს ნება შენი ჩვენზედა. ამინ.

მღვდელთა მიხეილ გაგაშელოვი.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მღვდელთა საყურადღებოდ.

საეჭვო კითხვების განმარტებანა შესახებ ახალ-დაბადებულ ბავშვთა მონათვლასა და მათზე ღოცვების წაკითხვისას.

ჩვენი მკითხველებო, რასაკერაველია, ხშირად წაიკითხავდნენ ჩვენს გამოცემაში სხვა-და-სხვა საეჭვო კითხვების განმარტებას ახალ-დაბადებულ ბავშვთა მონათვლის და მშობიარე ქალზე ღოცვების წაკითხვის შესახებ, მაგრამ როგორც სხვა-და-სხვა კუთხიდან მიღებული წერილებიდან ვრწმუნდებით, ბევრი კითხვებია დაშთენილი განუმარტებლად, რომელთა აღნა დიდს საჭიროებას შეადგენს არა მარტო უსწავლელ მღვდელთათვის, არამედ ზოგ სემინარიასა სწავლა დასრულებულთათვისაც. ამისათვის ჩვენ ამის შემდეგ ნამეტან ყურადღებას მივაქცევთ ამ განყოფილებას და, შეძლების დაკვარად, ვეცდებით განვმარტოთ ჩვენი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ჩვენდამო მამართული საეჭვო კითხვები, რომლის განმარტება ყოველი მღვდლისათვის საჭირო და სასარგებლო იქნება.

ჩვენ გვეკითხებიან: როგორ და ან სად უნდა წაუკითხოს მღვდელმა ღოცვა მშობიარე დედა-კაცს?

მიგება. თვითონ ღოცვების სიტყვები და მათი აზრი ცხადათ ამტკიცებს, რომ ხსენებული ღოცვები უნდა წაკითხულ იქმნენ მღვდლიდან პირველსავე დღეს ბავშვის დაბადებისა და მელაგონის სახლში. მშენიერი ჩვეულება სუფევდა და სუფევს ჩვენში ამ ღოცვების წაკითხვის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილას ქალაქებში და დაბებში ეს მშენიერი ჩვეულება თან-და-თან ისპობა და, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, ისპობა ნასწავლის მღვდლების წყალობით. ყველას კარგად ანსოვს და

იცის, რომ ჩვენში სანამ მელოგინის სახლში მღვდელი არ მივა და არ «მოაკუთხებს სახლს» და მშობიარე დედა-კაცს არ წაუკუთხავს დანიშნულ ლოცვებს, საჭმელ-სასმელის მიღებას არაფერს ვაბედავს. ეს ჩვეულება ზოგიერთმა ნასწავლმა მოძღვრებმა არ მოიწონეს და ხშირად უმტკაცებდნენ ხალხს, რომ სასმელ-საჭმელის მიღებას მელოგინის სახლში «სახლის მოუყურთებლობა» არ დააბრკოლებს და არ „შეაგინებსა“. მოძღვრები, რასაკვირველია, მართალი იყვნენ ამ შემთხვევაში, მაგრამ ბერს ადვილად, განსაკუთრებით დაბებში და ქალაქებში ამ მშვენიერი ჩვეულების გადავდება და მოსპობა ის შედეგი იქონია, რომ ბავშვის მონათულამდის აღარ იწვევენ მღვდელს. ორი-სამი თვის შემდეგ და ხშირად უფრო გვიანაც ბავშვის ნათლობას დღეს ქალი მოღის მღვდელთან და სთხოვს იმ ლოცვების წაკითხვას, რომელნიც პირველ დღეს უნდა წაკითხულყო მღვდლისაგან. ექვსი თვის შემდეგ მღვდელი ვედრება ღმერთსა, „რომ დაერდამილი გვაში მძევლისა, რომელმანც დღეს შვა ყრმა, შეიწყალოს და აღაღინოს» და სხვ... ეს ძველი ჩვეულება საჭიროა მტკიცედ სრულდებოდეს ყოველს ადვილად და პირველსავე დღეს წაიკითხებოდეს მშობიარე დედა კაცხედ დაწესებული ლოცვები. თუ მღვდელი არ იზოვება, ამ შემთხვევაში აიხსნის წყალს ხმარავენ და ისე მიიღებენ სასმელ-საჭმელს, მაგრამ მღვდელს მაინც მოიწვევენ, ვადრემდის მელოგინე არ ამდგარა.

კითხვა. მშობიარე დედა კაცხედ ლოცვების წაკითხვა ჩვეულებრივად სასამღვდულო და მკაცრ ლოცვების წაკითხვით უნდა იწყებოდეს, თუ პირდაპირ ისე, როგორც ტიბიკანი უჩვენს კურთხევასში?

მიგება. ყოველი ლოცვის წინ ტიბიკანით მღვდელმა უნდა სთქვას: «კუთხეულ არს», მერე სთქვან მოკლე დაწყებითი ლოცვები. ამ შემთხვევაში არ უჩინს ამ ნაირად დაწყებას და, რასაკვირველია, არც საჭიროა.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, თუ მშობლები ბავშვს დიდი ხნობით სტრავებენ მოუნათლებად?

მიგება. მღვდელმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ბავშვების მონათულამშობლებმა არ დააყოვნონ. ჩვენს საქართველოში ძლიერ მოსაწონი ღონისძიებანი მისცა სამღვდლოებას ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდის კანტორამ ბავშვების ადრე მონათელის შესახებ. იმ ღონის და საშუალების ხმარებაც კი საქაოა, რომ მშობლებს ადვილად შეაგონონ ბავშვის ადრე მონათელა, მაგრამ მაინც საჭიროა მოძღვარმა ყველას განუმარტოს ეკკლესიის წმ კანონი, რომელიც მშობელს მისი შვილის უნათლავად სიკვდილისათვის უკრძალავს სამი წლის განმავლობაში წმ. ზიარების მიღებას, ყოველს დღეს უწერს ორას მეტანიას და მარხულობას ოთხშაბათს და პარასკევს. დღეს, მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხი მიეჩნია ბავშვების ადრე მონათელას...

დევ. დ. ლამაშიძე.

რედაქციის პასუხი.

ოქროპირს. დღეს, ვგონებთ, ყველამ იცის, რომ შეწირულება ნებით უნდა და არა ძალით. ხათრს და მორიდებას თუ გაჭყვა გაცი, შორს წაგვიყვანს...

მღვ. ნ. ჯი—შვილს. თქვენმა გაჭირვებულმა მღვდლარობამ თანაგრძნობა აღძრა ჩვენში. გითმობთ ორივე გამოცემას მექთანად და შექლებისა გვარად სხვა საჭირო ნივთებსაც თქვენი ღარიბი ეკკლესიისა და სკოლისათვის. მოვიტონეთ და წაიღეთ (მწვემსის) სტამბიდან.

შეწირულებანი.

მ. კვდაქტორა!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის უწინაღობის «მწვემის» საშუალებით გულისთავად მადლობა გამოუცხადო ჩემი და მრევლის მსრით ჩემდამო რწმუნებულის უშაბათის ზედმოწერა-ლი ეკლესიის სამრევლოთაგანთ აზნაურთ: შატა ქ. (იგივე ხარლამში) ივანეს ძეს და კეთილე ჟარუს ძეს გოგინაგებთა, რომელთაც შემოსწირეს ზემოსხენებულს ეკლესიას, საკურთხედ გამზადებულს, ტრაპეზის შესამოსი, ღირებულად უმეტეს ვინ მანეთიას.

იმედია, ზემო აღნიშნულ პირებს აღმოუჩნდებათ თანამოსწრენი ჩემს სამრევლოშივე და შამოწირვენ რაიმეს, რომელსაც ესრედ საჭიროებს ღირადი ეკლესია ესე. ვაქტვე ამ შემოწირულებაზე უმეტესად იმ სამატოა შინთა უწინაღობას, რომელთაც აღუთქვეს ამ ეკლესიას ათ.ათი თუმნობით შამოწირვა შენობის დაწესებამდის, მაგრამ ჟარუს არ შეუსრულებათ ეს დაპირება.

სას. გამომცემელი, მღვ. ვ. დანელია.

მ. კვდაქტორა!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის მატონ-ტემული გაზეთის «მწვემის» საშუალებით გულისთავად მადლობა გამოუცხადო დაბა ვეირილაში მცხოვრების მოკვარის ოქრობიერ გეგმის მეუღლე მართა ტკიფურა-შვილის ასულს, რომელმაც შემოსწირა ტელეფონის ეკლესიას ერთი მანდალი თავის კვარსებით, ღირებულად 13 მ. 60 კ. და ერთი კანდალი, ღირებულად თავისი ზეთით ოთხ მანეთად; ტელეფონში მცხოვრებმა გლეხმა ნიკოლოზ შაქარას ძე ზარნაძემ მოატკინა კვარსით ხატა, ღირებულად ორმოცდა ერთი მანეთიას. იმედია ამ კეთილ და ღეთისმოსავ პირთ მისაქველნი აღმოუჩნდებათ.

მღვ. ი. ხალაძე.

ყვარულთა და გოგონების.

თათყუი	მარტყო	კვირთყო	ქმე	ხარტყო
მარტყო	ქ	ყ	ქ	ყ
—	ყ	ყ	ქ	ყ
—	ყ	ყ	ქ	ყ
—	ყ	ყ	ქ	ყ
შეკვირყო	ჭ	ყ	ყ	ჭ
—	ყ	ყ	ყ	ყ
—	ყ	ყ	ყ	ყ
—	ყ	ყ	ჭ	ყ

იხუილებანი

ღებანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში — «მწვემის»-ს რედაქციის სტამბაში და მმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში და ვეირილაში — თვით გამომცემელთან.

- 1) დარბეზა საღმრთო სჯულის სწავლუ-ბაზე, რომელიც უწმიდესი სინოდის-საგან მოწონებულა როგორც სასწავ-ლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში — ფასი 30 კ.
- 2) იგივე დარბეზა საღმრთო სჯულის სწავ-ლაზე რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამადღების ნიშნებით — ფასი 50 კ.
- 3) საღმრთო სჯულის საშუალო სწავლუ-ბაზე რუსულს 45 კ.
- 4) მართალი ლოცვანი, თვეთა მეტყვე-ლებით, ქორთონიკონით და მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღე-სასწავლებლის მოთხრობით. ამ დოკ-ვანში არის სრული სერობა, ჰარაკ-ლისი დვთის-მშობლისა და ზიარების დოცვა — ფასი 30 —

- 5) ახალი კარაბადინი—მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია გავსაიის სექციამ რევივისკან.—უასი 1 მან.
- 6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სასკლამდგანელო წიგნი—უასი ყლით 30 გ.
- 7) ახალი სასულირო კონსისტორიათა შესაბამისობა.—უასი ყლით 40 გ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, მართვალთ ბანანათლბელი.—უასი 25—
- 9) გელათის მონასტარი და ცხოვრების აღწერილობა მთვის დავით აღმაშენებლისა.—უასი 25—
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტარი.—უასი 5—
ამისივე წიგნი რუსულად—უასი 10—
- 11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: უასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე მკრპარნი, სურათებით—უასი 5—
- 12) მიკაე უშლისა, სურათით.—უასი 2—
დიდ-მარხვის წინ, სურათით.—უასი 2—
- 13) ხარება უოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით—უასი 2—
- 14) ბზობა სურათით—უასი 2—
- 15) აღდგომა სურათით—უასი 2—
- 16) კონსტოლი კილატის მუშლის წაილი
- 17) თავის მშობარ ქალთანქრესტეს შესახებ 5—
- 18) მთხე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 19) აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა 2—
- 20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი 2—
- 21) იო-მღვდლის მონასტერი და ცხოვრების აღწერა დიდისა მამის ჩვენისა შიხსა სურათით—უასი 5—
- 22) მიძინება უოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—უასი 2 გ.
- 23) აბაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯარისა უშლისა სურათით 2—
- 24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—
- 25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—
- 26) მსთარი (დაბადებიდა მთხრობა) სურათით—უასი 5—

- 27) წმ. მოწამე რაჭდენი—სურათით უასი 5—
- 28) ისო მისა ზირამისა სურათით 5—
- 29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლაზე უასი 15—
- 30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) 30—
- 31) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვლების მოვლაზე.—უასი 10—
- 32) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული ჰომეა აგაქისა.—უასი 5—
- 33) თამარ მეფე—სურათით 5—
- 34) მეფე დავით III აღმაშენებელი 5—
- 35) სასწავლო ჰაქნი.—უასი ყლით 50—
- 36) ღვთისმშობლის მიძინების სპინაქსარი (ლექსად).—უასი 5—

გინტ ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 20 გ.
გინტ 2 გ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასო ტალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

სატყუბი და მხატვრობანი.

მიღებულელია პატარა იაფ ფასიანი ფიცრის ნატები ორი და სამგოჯიანი—უასი 20 გ.
ნატები არის: მაცხოვრის, ივერიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგისა, ანდრია მოციქულის პირველ-წოდებულისა და ათთორმეტთა დღესასწაულთა.
ვინც დაიბარეს ნატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან გაეგზავნება თითო ნატი აბაზათ და ფოსტის გასაგზავნიც არა გაღანდება რა.
ამასთან იმეკონება სქელ ქადაგზე ნახატი წმინდა ნინას, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 8+7 გოჯიანი 20 გ.
ფოსტო-ტაპით დასატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი 5 გ.
ამავე ზომისა და ამისთანავე ნახატი წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებელისა 5 გ.

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა ჟარტულს

„მწყემს“ - ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь» - ზედ

ლოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გაცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაწორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გაცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას დ ხალხის ცხოვრებას.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდლო-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოში

ფასი ქურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა » — ,, ორივე გამოცემა 4 »
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარდაღში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარდაღში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარევე მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: ВЪ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1894 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაუწოდებთ მოზარდული მხატვრობა

თაქარ მეზის.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მართმევეს თამაძს თავის უკედვე პოემას «ვეფხისტყაოსანს». ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით შოთა რუსთველი და თამაძის მხლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში.

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“, თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება ყუხღავს

1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება სამზითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ბრუზენბერგი. შოსტის და დეპეშის აღრესი: Гру. венбергу Тифлисъ.

(15—12).